

# ახალი ბანათლები

16 - 22 ნოემბერი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№34 (788) გაემოქმედდა 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

მისიონი ჩვენს მიხედვით,  
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:  
მთელ ჩემს ენეჯიას, ცოდნასა და გამოცდილებას  
საქართველოში განათლებისა და  
მეცნიერების განვითარების საქმეს მოვასხმავ.



გვერდი 2

საუბრაზე ლიტერატურაზე

## საერთო პირთა სახეები ქართულ კაბინეტში

გვერდი 6

გვთავაზობთ

## ენისა და მეცნიერების განვითარების დარღვევა ბავშვებში

გვერდი 8

სამოქალაქო განვითარება

## შავი ზღვის ფრინველები

გვერდი 10

## ილია და ქართველი საზოგადოების განვითარება

„ვინ ახის ილია ქავჭავაძე, მივლევთ თუ ახა მის ნაქვადევს, ვიზიარებთ და ვაცნობიერებთ თუ ახა მის ნაახევესა და ნაღვანს. მეჩვენება, რომ ახს დღევანდელ ქართველს აქვს გაცნობიერებული ილიას ფენომენი. მხოლოდ საიუბილეო დღეებში მასზე ფიქრისა და დაჯიხის გამო ვეი ჩავითვლებთ ილიას გზის ქემშიაჩი გამგებლებად. ეს გზა ეი გაქვავებული დომებისაენ ეი აი მიგვიძღვის, ახამედ ცოცხალი ახომვნებისაენ, რომელიც – ეითადეითი! – ეხუნველყოფს ეაცის, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს მედმივ და მიზანმიმართულ განვითარებას.“

ბიან მუხლიანი

„ვარეი მახელ მაშინ ახის ხეხი,  
ხელა ეღრნა აქვს, ხელა ქვავა  
ეღრნით ვაქლოია, ეღრნის  
ხახხე ვაყჩახხავს. მაშინ  
ხეხსავით სხვისთვისაენ ვააქვს  
რა თვისთვისაენ შეძლავს.“

ილია

ილია  
ჩვენს  
თანამედროვეს  
180

გვერდი 4





# კავკასიის უნივერსიტეტის კუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა (CSH) ასხადებს კონკურსს



**პროფესორის (1 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი),  
ასისტენტ-პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (3 ვაკანტური ადგილი) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, შემდეგ მიმართულებებში:**

**ქართული ენა და ლიტერატურა: • ენათმეცნიერება; • აკადემიური წერა; • ქართული ლიტერატურა.**

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- ა) პროფესორისთვის**
    - ❖ დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
    - ❖ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.
  - ბ) ასოცირებული პროფესორისთვის**
    - ❖ დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
    - ❖ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება;
  - გ) ასისტენტ-პროფესორისთვის**
    - ❖ დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
    - ❖ სასწავლებელი დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.
  - დ) ასისტენტისთვის**
    - ❖ დოქტორანტი, რომელსაც სასწავლებელი ჰქონდა მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;
    - ❖ მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.
- წარმოსადგენი დოკუმენტები:**
- ❖ კურსის/კურსების სილაბუსი;
  - ❖ CV-რეზიუმე;
  - ❖ პირადობის დაგამატირებული დოკუმენტის ასლი;

- ❖ განათლების დაგამატირებული დოკუმენტის ასლი;
- ❖ სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დაგამატირებული ცნობა;
- ❖ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- ❖ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაგამატირებული დოკუმენტაცია ან/და 5 წლის განმავლობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იქნას კვალიფიციური პირი, პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და ახალი-კაცობით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოშვების აუდიტორული კომპეტენცია.

**კონკურსის ჩატარება სამ ეტაპად:**

- I ეტაპი – წარმოსადგენი დოკუმენტების გადახილვა;
- II ეტაპი – პირადად შეხვედრა;
- III ეტაპი – კონკურსის შედეგების გამოცხადება.

**დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მითითებული დოკუმენტები გამოგზავნოთ ელფოსტის მისამართზე: [hr@cu.edu.ge](mailto:hr@cu.edu.ge); [tgiorgadze@cu.edu.ge](mailto:tgiorgadze@cu.edu.ge)**

**გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მითითებულ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და მიმართულების სახელწოდება!**

კავკასიის უნივერსიტეტი ითხოვს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუპატიჟებლად მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

**საბუთების მიღება: 2017 წლის 16 დეკემბრიდან 2018 წლის 16 იანვრის ჩათვლით**

## განათლებისა და მეცნიერების ახალი მიწისთვის პირველი სამუშაო დღე

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე, **ალექსანდრე ჯეჯელავა** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა, **მიხეილ ჩხენკელმა** ჩაანაცვლა.

13 ნოემბერს განათლებისა და მეცნიერების ახლად დანიშნული მინისტრი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა, დილიდან მივიდა სამინისტროში, პირველი შეხვედრა ალექსანდრე ჯეჯელავასთან გამართა, ასევე ესაუბრა დეპარტამენტების ხელმძღვანელებსაც. ყოფილმა მინისტრმა ახალს უფლება-მოვალეობები გადააბარა, რეფორმის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო დაგეგმილი ცვლილებები გააცნო. მიხეილ ჩხენკელმა და ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებთან მოკლე კომენტარი გააკეთეს და მათ შეკითხვებსაც უპასუხეს.

ახალი მინისტრი ამბობს, რომ კონკრეტულ სამოქმედო გეგმას მოკლე ვადაში წარმოადგენს. იცის, რომ არის მთელი რიგი გამოწვევები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების ხარისხის განვითარებას ეხება და სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს ამ პრობლემების გადასაწყვეტად. „მთელ ჩემს ენერჯიას, ცოდნას და გამოცდილებას საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეს მოვახმარ,“ – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

თუ როგორი იყო ალექსანდრე ჯეჯელავას საქმიანობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე, უკვე ყოფილი მინისტრის თქმით, მისი შესაფასებელი არ არის. „ეს მთლიანად ქართული საზოგადოების გასაკეთებელია, პრემიერ-მინისტრის, მთავრობის გუნდის და ჩემი კოლეგების ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგით განათლების სისტემის განვითარების ყველა მიმართულებით – ზოგ შემთხვევაში დავინყეთ რეფორმა, ზოგ შემთხვევაში – დაწყებული გავაგრძელებთ და მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის მთავარი პრიორიტეტის – განათლების სისტემის რეფორმირების – განხორციელებას ჩავეუყარეთ საფუძველი. ასევე მინდა ვთქვა, რომ ღრმა რწმენა მაქვს, რომ ეს რეფორმები, მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ფარგლებში, გაგრძელდება. ძალიან დადებითი განწყობა მაქვს ახალი მინისტრის და მისი მომავალი საქმიანობის მიმართ. ვაპირებ, რომ ყველანი ერთად გვერდში დავუდგე, დავეხმარო.“

რაც შეეხება ჩემს შემდგომ საქმიანობას, იქნება იგივე, რაც მინისტრობამდე იყო – სასწავლო საქმიანობას გავაგრძელებ. როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე უნივერსიტეტში ვასწავლიდი, ვატარებდი ტრენინგებს (არასამთავრობო, კერძო სექტორში), შესაბამისად, ამის გაგრძელებას ვაპირებ. ასევე, ვაპირებ სწავლის გაგრძელებას“.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რამ განაპირობა მისი ჩანაცვლება, ალექსანდრე ჯეჯელავამ უპასუხა, რომ ეს ერთიანი გუნდის – პრემიერ-მინისტრის, თავად მისი და კოლეგების მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო, რადგან შეთანხმდნენ, რომ ასე აჯობებდა განათლების სისტემისთვის და შემდგომი რეფორმებისთვის.

მიხეილ ჩხენკელმა, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს დიდი ნდობისთვის და დასძინა, რომ მზად არის, მისი ცოდნა და გამოცდილება საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეს მოახმაროს. „გამოწვევები ძალიან ბევრია. როგორც მოგეხსენებათ, მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმაში განათლებას უაღრესად მნიშვნელოვანი როლი აქვს და ჩვენი სამინისტროსთვის მთავარი იქნება მეცნიერების ხარისხის განვითარება. უფრო კონკრეტულად მინდა გითხრათ – ყველა ახალგაზრდამ უნდა იგრძნოს, რომ სახელმწიფო მასზე ზრუნავს. ჩვენ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, ძალიან კარგი თაობა მოდის და ამ თაობას ყველა პირობა უნდა შეუქმნათ იმისთვის, რომ მათი ნიჭისა და პოტენციალის რეალიზება მოხდეს“.

ჟურნალისტების შეკითხვაზე ახალმა მინისტრმა საკმაოდ მოზომილი პასუხები გასცა. როგორც ჩანს, კონკრეტული პასუხების გასაცემად, მას დრო სჭირდება.

პირველი გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს – ძალიან მალე ნარვადგენთ ჩვენი სტრატეგიის, მოქმედების კონკრეტულ გეგმას, რომელსაც, რასაკვირველია, გაგაცნობთ და ამ გეგმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

განათლების სფერო მოიცავს ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ განათლებას, სად არის, მისი აზრით, ყველაზე დიდი გამოწვევა? – არის, რა თქმა უნდა გამოწვევები და ყველა მიმართულებით აქტიურად ვიმუშავებთ.

შინაარსობრივად, რა ტიპის სისტემა იქნება ახალგაზრდული საქმეების მართვა – დეპარტამენტი თუ პირდაპირ, მექანიკურად გადმოკოპირდება საპორტის სამინისტროდან? – სტრუქტურულად როგორი იქნება, ამას მალე გადაწყვეტთ. მთავარი მინდა გითხრათ, რაც შინაარსს ეხება, ეს არის ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იქნება ჩვენი საზრუნავი, ფუნდამენტური საკითხია და კომპლექსური მიდგომა სჭირდება.

რა თქმა უნდა ჟურნალისტებს არც ალექსანდრე ჯეჯელავას ყველაზე გახმაურებული ინიციატივა – ვაშლების დარიგება დავინყებიათ. შეკითხვაზე, გაგრძელება თუ არა ბავშვებისთვის ვაშლების დარიგება, პირდაპირი პასუხის გაცემას ახალმა მინისტრმა თავი აარიდა და ძალიან ზოგადი ფრზე-

ბით შემოიფარგლა: „როგორც უკვე მოგახსენეთ, ჯანსაღი ცხოვრების წესი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია ყველა ახალგაზრდობისთვის და ყველა ჩვენთვის. აქედან გამომდინარე, ამ ფუნდამენტური საკითხის შესწავლა მოხდება კომპლექსურად. რაც შეეხება კონკრეტულ ნაბიჯებს, ამის შესახებ მალე შეიტყობთ“.

განათლების უწყებაში მიმდინარე ცვლილებებს ეხმიანება საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში**: „პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას არაჩვეულებრივი თანამშრომლობისა და არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივისათვის, რომელიც ბოლო ერთი წლის მანძილზე დაინერგა განათლებისა და მეცნიერების სისტემაში. განსაკუთრებით აღვნიშნავდი ბატონი ალექსანდრეს ხელმძღვანელობით ისტორიულ ცვლილებებს სკოლის პედაგოგთა გადამზადების საკითხებში, მასწავლებლის პროფესიის დაფასებისა და, ქვეყნის მასშტაბით, 20 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყების საქმეში. ბატონი ალექსანდრეს თანადგომით, პარლამენტის კომიტეტსა და სამინისტროს შორის თანამშრომლობისა და მჭიდრო კოორდინაციის მნიშვნელოვანი პრაქტიკა დაგენერგეთ, რაც, იმედი მაქვს, ასევე წარმატებით გაგრძელდება განათლებისა და მეცნიერების უწყების ახალ ხელმძღვანელთან ერთად. წარმატებები მინდა ვუსურვო ბატონ ალექსანდრეს შემდგომ საქმიანობაში და დავეუდავსტურო მზაობა შემდგომი თანამშრომლობისათვის.“

აქვე, მსურს გამოვხატო პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოზიციაზე მიხეილ ჩხენკელის წარდგინებასთან დაკავშირებით. მიხეილ ჩხენკელი არის ბრწყინვალე კანდიდატი, უდიდესი სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილებით როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე. ჩვენ გვჭირდება ქმედითი ნაბიჯები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კუთხით და დარწმუნებული ვარ, ბატონი მიხეილის გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი წარმატებები გველის ამ სფეროში. ახალი მინისტრის მოღვაწეობის პერიოდში მაქვს განსაკუთრებული მოლოდინი, რომ განათლების ყველა საფეხურზე გაუმჯობესდება ზუსტი მეცნიერებების (STEM საგნების) სწავლების ხარისხი. ასევე, ვფიქრობ, რომ მიხეილ ჩხენკელთან ერთად ჩვენ შევძლებთ საქართველოში სამეცნიერო კვლევების მიმართულებით არსებული პრაქტიკისა და სტანდარტების ფუნდამენტურ ცვლილებებს. ვულოცავ ბატონ მიხეილს და წარმატებას ვუსურვებ ამ უმნიშვნელოვანეს პოზიციაზე“.

**მომზადდა ლალი თვალაბაიშვილმა**

ახალი ახვაბი

უცხოელი კელაგობები ქართულ პროფესიულ კოლეჯებში



პროგრამაში „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“...

პირველ ეტაპზე, სამი პროფესიული სასწავლებელი შეირჩა: „ბლექსი“ (ბათუმი) „თეთნულდი“ (მესტია) და „იკაროსი“ (თბილისი)...

სამუშაოს დაწყებამდე უცხოელებს პროფესიული განვითარების, სწავლების მეთოდოლოგიისა და ადგილობრივ თემთან კომუნიკაციის საკითხებზე ტრენინგები ჩაუტარდათ.

პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ 2010 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანი უცხოური ენის სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის გზით ადგილობრივი მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივ თემში უცხოური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა.

პროგრამამ, დღემდე, ბევრი ცვლილება განიცადა, დაიხვეწა მონაწილეობის მსურველ მოხალისე მასწავლებელთა და ადგილობრივი სკოლების შერჩევის პროცესი. 2012 წლიდან პროგრამას ჩინური ენის მოხალისე მასწავლებლები შეუერთდნენ, ხოლო 2015 წლიდან – ფრანგული და გერმანული ენების მოხალისე მასწავლებლებიც. 2013 წლიდან პროფესიული განათლების პრიორიტეტულობამ გამოკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, პროფესიული უნარების განვითარების პარალელურად, ენის კომპეტენციის გაღრმავების საჭიროება, რის საფუძველზეც, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საპილოტე რეჟიმში დაიწყო უცხოელი მოხალისე მასწავლებლების განაწილება პროფესიულ სასწავლებლებში.

განათლებისა და მესწავლის სისტემაში მიმდინარე სამუშაოს ევროკომისია დადებითად აფასებს

ევროკომისიის ანგარიშში, საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების განხორციელების შესახებ, საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული პროექტები დადებითად შეფასდა. მასში პოზიტიური კუთხითაა საუბარი როგორც ზოგად, ასევე პროფესიულ, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე.

ანგარიშში, ასევე, პოზიტიურად შეფასდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოება, რაც მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის მთავარი ქვეკუთხეა.

ანგარიშში ასახულია, რომ უმაღლესი განათლების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის ქვეყანაში ქმედითი ნაბიჯები იდგმება. საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის პროგრამაში ERASMUS+ და, 131 პარტნიორ ქვეყანას შორის, წარმატებული პროექტების კუთხით, მე-8 ადგილს იკავებს. შედეგად, 2015 წლიდან, ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში 1500-ზე მეტი ქართველი სტუდენტის სწავლა დაფინანსდა. მობილობით სარგებლობენ, ასევე, მეცნიერები, ადმინისტრაცია, ლექტორები და ვიზა ლიბერალიზაცია ამ პროცესს თავისთავად ხელს უწყობს. საყურადღებოა ისიც, რომ ერასმუსის ფარგლებში, ახალგაზრდების ლიდერობისა და მენარმეობის კომპეტენციების განვითარების კუთხით, დაფინანსებული პროექტების 31% სწორედ საქართველოზე მოდის, რაც, საბოლოო ჯამში, ჩვენი ახალგაზრდების საჭირო უნარებით აღჭურვისა და ლიდერებად ჩამოყალიბების კარგი საფუძველია.

ხელისუფლება დიდ ძალისხმევას დებს კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების თვალსაზრისით, რასაც ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის უმსხვილეს პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“ საქართველოს განეწიანებაც ადასტურებს. 77-მილიარდიან ფონდში, რომლის წევრიც

საქართველო 2016 წელს გახდა, კონკურსის წესით, ქართული ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 17 პროექტი, 5.2 მლნ. ლარზე მეტი ჯამური ღირებულებით, უკვე დაფინანსდა. მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების შემდგომი განვითარების მიზნით, ქვეყანას გადახდილი საწევროს ნახევარი უკან უბრუნდება. აღნიშნული სახელე კი, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართველი მეცნიერებისა და მკვლევრების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ჰარმონიულ ინტეგრაციას, რაც ევროკომისიის ბოლო ანგარიშში უაღრესად პოზიტიურად შეფასდა.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ჩვენს ქვეყანას ალბულები აქვს გარკვეული ვალდებულებები განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით, რისი მიზანიცაა ქართული საგანმანათლებლო სივრცის ჰარმონიზება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან. ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯები ძალიან წარმატებულადაა შეფასებული ევროკომისიის ანგარიშში, რომელიც სწორედ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მიმოიხილავს.“

ანგარიშში საუბარია ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების, ასევე მეცნიერების მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებზე და გადადგმულ ნაბიჯებზე. აღსანიშნავია, რომ ეს ნაბიჯები ძალიან ეფექტურია პროფესიული განათლების მიმართულებით, კონკრეტულად – პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოება. ეს პროგრამა თვითონ ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა და ძალიან კარგი შედეგები აქვს, სწორედ ამ წარმატების საფუძველზე, ჩვენ უკვე მომავალ თანამშრომლობაზე ვსაუბრობთ – ევროკავშირის მხრიდან დამატებითი ფინანსური რესურსის გამოყოფაზე, დაახლოებით, 40-დან 50 მილიონ ევრომდე.

არაჩვეულებრივი შედეგები გვაქვს პროგრამა ერასმუსის ფარგლებში – დაფინანსებულია 1500-ზე მეტი სტუდენტი, მათ მობილობით ისარგებლეს. ძალიან აქტიურია უნივერსიტეტების მონაწილეობა შესაძლებლობების განვითარების პროგრამის ჩარჩოში, ასევე, მიღის აქტიური თანამშრომლობა ახალგაზრდების სამეწარმეო და ლიდერობის უნარების განვითარების კუთხითაც.

სამეცნიერო წრეებში ძალიან აქტიურია პროგრამა „ჰორიზონტი 2020“, რომელიც გულისხმობს, უცხოელ მეცნიერებთან ერთად, სამეცნიერო წრეების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, ბიზნეს წრეებთან თანამშრომლობით, ერთობლივი ნიშნადადებების შეტანას დაფინანსების მოსაპოვებლად. საქართველოდან წარდგენილი პროექტებით უკვე 5 მილიონ ლარზე მეტია მოზიდული. რაც მთავარია, იმ საწევროს ნახევარი, რომელიც ქვეყანამ ამ პროგრამაში განეწიანებისთვის გადაიხადა, ისევე ქვეყანას უბრუნდება მეცნიერების შემდგომი განვითარების მიზნებისთვის. სასიხარულოა, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები ასე პოზიტიურად შეაფასა ევროკომისიამ“.

კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ



მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი-2017“ ფინალური ეტაპი გაიმართა – გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ გრანპრის, პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები, ყველა მონაწილეს სპეციალური სერტიფიკატი და ცალკეული ორგანიზაციის მიერ დაწესებული პრიზები გადაეცათ.

• გრანპრის მფლობელები გახდნენ: გრიგოლ მიქაძე, ლუკა ბუსქაძე, ცოტნე მიქაძე (პროექტის სახელწოდება – კურკუმინის საფუძველზე ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების მიღება);

• პირველი ადგილი დაიკავეს: იონა იობიძემ და გიორგი ურაცხიძემ (პროექტის სახელწოდება – მანძილის მზომი რობოტი);

• მეორე ადგილზე გავიდნენ: ჯემალ გონაშვილი, გიორგი ჟორჯიანი, იონანე სალუქვაძე (პროექტის სახელწოდება – ქვიანი ურიკა);

• მესამე ადგილი წილად ხვდათ: შორენა გუჯაბიძეს, დეა ილარიონოვასა და მარინა გუჯაბიძეს (პროექტის სახელწოდება –

„უჩინარის მაჩინარი“ – მოზაიკური ეკრანი „მლიერენის“ გამოსავლენად).

გრანპრით დაჯილდოებული პროექტის ავტორები, შემეცნებითი ტურით, საზღვარგარეთ გაემგზავრებიან. პირველ ადგილზე გასული პროექტის ავტორები დაჯილდოვდნენ 5000 ლარით, მეორე ადგილზე გასული პროექტის ავტორები – 3000 ლარით, ხოლო მესამე ადგილზე გასული პროექტის ავტორები – 2000 ლარით.

2017 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსზე წარდგენილი 44 განაცხადიდან, კონკურსის დასკვნითი ეტაპისთვის, 19 ნამუშევარი შეირჩა. 44 საკონკურსო განაცხადიდან, 20 განაცხადი წარმოდგენილი იყო რეგიონებიდან (ქუთაისი, ხაშური, ბათუმი, რუსთავი, ჩოხატაური, ახმეტა, ცაგერი), ხოლო 27 – თბილისიდან.

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“, 2010 წლიდან, ყოველწლიურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობის ფარგლებში, ცხადდება. ამ დროიდან დღემდე, კონკურსზე წარდგენილი იყო 368 საკონკურსო განაცხადი, რომელთაგან 49 პროექტმა გაიმარჯვა და გამოგონებდა ჩაითვალა.

კონკურსი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში სწავლის დონის ამაღლებას, ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ ინტერესის გაღვივებას და მეცნიერების პოპულარიზაციას, ღია და თანასწორი კონკურენციის პირობებში გამოავლენს და წახალისებს გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს, სტიმულს აძლევს მათი შემოქმედებითი აზროვნების, კვლევითი და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას. კონკურსში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო და კერძო სკოლების) VII-XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

კონკურსი ხორციელდება ორი მიმართულებით: სამეცნიერო კვლევებისა და საინჟინრო მიმართულებით. წარდგენილი საკონკურსო განაცხადები მოიცავს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს: საინჟინრო მექანიკა, რობოტიკა და ინტელექტუალური მანქანები, ფიზიკა და ასტრონომია, გარემოსდაცვითი ინჟინერია, დედამისისა და გარემოსდაცვითი მეცნიერებები, ქიმიკა, ბიოლოგია, ბიოსამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებები, დანერგული სისტემები და სხვ.

გამომგონებელთა ითვლება იმ ტექნიკური პრობლემის ახლებური გადაწყვეტის იდეა, რომელიც შეიძლება ეხებოდეს პროდუქტს ან პროდუქტის მიღების ტექნოლოგიას. გამარჯვებულების გამოვლენა ხდება რამდენიმე კრიტერიუმის (საკვლევი საკითხი, დიზაინი და მეთოდოლოგია, შესრულება, კრეატიულობა, პრეზენტაციის უნარი) და კონკურსის ეტაპებზე მოპოვებული ქულების გათვალისწინებით.

შუაფხოს სკოლას X-XII კლასები დაემატა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას გადაწყვეტილებით, შუაფხოს საჯარო სკოლას მე-10, მე-11 და მე-12 კლასები დაემატა. სკოლა, წლების განმავლობაში, ცხრაკლასიანი იყო და ბავშვებს უკანაფშვიდან, საშუალო განათლების მისაღებად, მალაროსკარის ან ბარისახოს სკოლებში გადასვლა და, უმეტეს შემთხვევაში, პანსიონებში, მძიმე პირობებში ცხოვრება უწევდათ. რამდენიმე ოჯახი, რომელმაც შვილის პანსიონში გაშვებაზე უარი თქვა, უკანაფშვიდან ბარის სოფლებში გადასახლდა. მინისტრმა გაითვალისწინა არსებული მძიმე ვითარება და შესაბამისი ცვლილება განახორციელა. ცვლილებამ უკვე მოიტანა პირველი შედეგი – სოფელს სამი ოჯახი დაუბრუნდა.

„უკანაფშვიში სამი ბავშვი დაგვიბრუნდა. ეს სამი ბავშვი სამი ოჯახია. სკოლა ბავშვებისგან არ დაიცვლება და სოფელი – მოსახლეობისგან,“ – ამბობს შუაფხოს სკოლის დირექტორი, ირმა ცქიფაშვილი. დარწმუნებულია, რომ სრული საშუალო სკოლა სოფლის გადარჩენას შეუწყობს ხელს.

ამ დროისთვის, შუაფხოს სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.



შუაფხოს მონაწილეები აწივრიდან სრულ საშუალო განათლებას მიიღებენ

# ილია ჩვენი თანამედროვეა

ანა ფირცხალაიშვილი

1802 წლის 22 სექტემბერს, თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე, პავლე ციციანოვის მიერ დაარსებული 2-კლასიანი ვაჟთა სასწავლებელი იმ კერად იქცა, რომელმაც ქვეყანას ქართველ განმანათლებლებს, საზოგადო მოღვაწეთა მთელი უღებდა აღზარდა. სწორედ ამ გუნდმა, რომელთა სახელებია და ხსონას დღევანდელი კლასიკური გიმნაზია სათუთად ინახავს, შთაბერა „უკიდარი სული“ XIX საუკუნის საქართველოს, რომელსაც არჩილ ჯორჯაძე ასე აწვასებს: „ქართველთა დაბრუნება, დაწვრილება, განთავსება და თითქმის დაპყრობა გამთავრებული აზრი და გრძობა“. ამ აზრისა და გრძობის, ეროვნული ღირსების აღდგინების იღვანე თითქმის მათგანა განათლებავს, პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, ეს იყო ხანგრძლივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობით დაგვირგვინდა. მომავალ წელს 100 წელი სრულდება ამ დღიდან. ნიშანდობლივია და ლოგიკურია, რომ წინ ამ თარიღს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლის იუბილე უძღვის, ისიც ლოგიკურია, რომ საიუბილეო კვირეული „ილია ჩვენი თანამედროვეა“, – მის გმობიერ სკოლაში, პირველ კლასიკურ გიმნაზიაში დაიწყო.

დაბრუნება, სადაც საზოგადოებას განმარტა, ილიას თანამედროვეობა, თანამოაზრეთა და მომდევნო წლების გამოჩენილ კურსდამთავრებულთა ფოტოების გამოვლენა მოეწყო. მოწვეულ სტუმრებს მოკლე სიტყვით მიმართა გიმნაზიის დირექტორმა, თამარ კახანაძემ; ილიას ღვაწლის შესახებ ისაუბრა: ლია გიგაურმა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე), მარიამ ჯაფარიძემ (პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე), სოზარ სუბარამ (სახელმწიფო მინისტრი), პარლამენტარმა, სალომე ზურაბიშვილმა, რომლის მამა და პიპა გიგაურის კურსდამთავრებულები იყვნენ. კურსდამთავრებულთა შორის აღმოჩნდა უკრაინის პირველი პრეზიდენტი პავლე ზრუშკისკი, რომლის პორტრეტიც გიმნაზიის მუზეუმს უკრაინის ვიცე პრეზიდენტმა გადასცა.

ღონისძიების ციკლი „ჩვენ ილიასთან ისტორია გვაკავშირებს“, თბილისის კლასიკური გიმნაზიის ორსაუკუნოვან ისტორიას უკავშირდება, რასაც სკოლის მუზეუმში დაცული ექსპონატებით, უნიკალური ხელნაწერებით, ილიას პირადი



მოხმარების ნიშნებით ვიცნობთ. რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, საიუბილეო კვირეული ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ლექსიკონ-დისკუსიასაც გულისხმობდა. საზოგადოებისათვის ცნობილია, წარმატებულმა აღამიანებმა – პოლიტიკოსებმა, ლიტერატორებმა, მწერლებმა ისეთ თემებზე ისაუბრეს, როგორცაა: „ილია და განი“ (რატომ ამაღლოდა, მამუა ხაზარაძე); „ილია და ქართველი საზოგადოების განვითარება“ (ბიზნესმენი); „ილია და თვითმმართველობა“ (ბიზნესმენი); „ილია და სოფლის მეურნეობა“ (დავით ტურაშვილი); „ილია და წინა-პითხვის განმარტება“ (ბიზნესმენი); „ილია და მსოფლიო პოლიტიკა“ (მარტო გომიანი); „ილია და პუბლიცისტიკა“ (მანია ნინია).

იმავე დღეს, 7 ნოემბერს, საფუძველი ჩაეყარა სკოლის კურსდამთავრებულთა საზოგადოების დაარსებას, რომელიც, შემდგომში, სკოლის განვითარებასა და გაძლიერებაზე იზრუნებს.



# ილია და ქართველი საზოგადოების განვითარება

ბიზნესმენი

დღეს ყველა ლაპარაკობს ილიას გზაზე. ნებისმიერ ადამიანს რომ ჰკითხოთ, ვინც ჩართულია პოლიტიკაში ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყველა გეტყვით, რომ ის არის ილიას გზის გამგრძელებელი, რაც მიანიშნებს ერთ მარტივ ქეშმარიტებას, რომ ეს არ შეიძლება მართალი იყოს. იმდენად განსხვავდებიან ეს ადამიანები თუ პოლიტიკური ძალები ერთმანეთისგან, რომ შეუძლებელია ერთსა და იმავე ღირებულებებს ეყრდნობოდნენ ან გამოხატავდნენ. ყველა ჩვენგანმა, ალბათ, საკუთარ თავს უნდა დაუსვას კითხვა – ვინ არის დღეს ჩვენი ილია ჭავჭავაძე, რამდენად კარგად ვიცნობთ მას? ეს ერთი. მეორე – რამდენად ვენდობით მის ნააზრევს და რამდენად ვიყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ან ვითვალისწინებთ მის რეკომენდაციებს. რა თქმა უნდა, მე იმის თქმა არ მსურს, რომ რაც ილია ჭავჭავაძემ გვიტოვა, ეს არის პანაცეა დღევანდელი მათთვის, იმიტომ რომ, მისი გარდაცვალებიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ თუკი ვამბობთ, რომ ილია ჭავჭავაძე ახლაც არის საზოგადოების გზამკვლევი, მაშინ ეს დავასაბუთოთ, რაღაც პრაქტიკით მაინც. ეს კითხვა არსებობს და მოდი თეცადოთ, პასუხი გავცეთ მას.

გამორჩეულ ადამიანებს არსად არ სწყალობენ, სანამ ცოცხლები არიან (შეიძლება სხვა ვითარებაც არსებობს, მაგრამ ტენდენცია ნამდვილად ასეთია). გამოჩენილი არც საქართველოა. ჩვენ უნდა ვალიაროთ, რომ ილია ჭავჭავაძე, თავის დროზე, ვერ დაიცვა ქართველმა საზოგადოებამ. რაც უნდა მტკიცე იყოს, ეს სიმართლეა და სიმართლეს თვალის უნდა გავუსწოროთ. იაკობ გოგებაშვილს აქვს ერთი წერილი, რომელშიც აკაკის შესანიშნავ იუბილეს იხსენებს და დანაშაუბით ამბობს, რომ მეზმანაო ასეთი რამ: როდესაც დამთავრდა იუბილე, უკვე აშლილ საზოგადოებას მიმართა აკაკიმ – ერთი წუთით დაიცადეთ, რათა ვახსენოთ უგვირგვინო მეფე საქართველოსი, რომელსაც არ ღირსება არცერთი იუბილე ცხოვრებაში (არ უფიქრობს არაფის ამის გაკეთება და თუ იფიქრეს, თავად ილია იყო წინააღმდეგი). ყველა მიხვდა, რა თქმა უნდა,

რომ ილია ჭავჭავაძეზე საუბრობდა აკაკი. როდესაც ეს აზრი ასე გაბეჭდა, ნათებად იქცა და წავიდა გუმბათისკენ, ეს იყო უმშვენიერესი სახილველო, – წერდა იაკობ გოგებაშვილი. მისდა და ჩვენდა სამწუხაროდ, ეს იყო მხოლოდ ზმანება, ასეთი რამ რეალურად არ მომხდარა, არ გახსენებიათ ილია ჭავჭავაძე აკაკის იუბილეზე. იაკობი საყვედურობს საკუთარ სიბერეს, როგორ არ გამახსენდა, მეტყვა აკაკისთვის, ის ამას იტყვობდა. მთავარი ისაა, რომ ილიას ხსენების გარეშე ჩაიარა ამ და ბევრმა სხვა იუბილემაც. ერთიც უნდა ვთქვათ, სამწუხაროდ, ილია და აკაკი დიდი მეგობრები არ ყოფილან. არასასიამოვნოა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია, ეს ასე იყო. მათი „დიდი ერთობა“, როგორცაა გამოიყურებიან კლასიკური გიმნაზიის წინ, უფრო სასურველი რამ არის, ვიდრე რეალური. ბოლოსდაბოლოს ჩვენ გვახსოვს, რომ ილია ჭავჭავაძისა და ვანო მარაბლის ტრაგიკული დაპირისპირების დროს, აკაკი მკვეთრად უჭერდა მხარს ვანო მარაბელს, რომელიც მისი უახლოესი მეგობარი იყო, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია აკაკისთვის, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ მისთვის უბრწყინვალესი სიტყვით მიემართა. ეს არის უდიდესი ნიშნული ადამიანის შეფასებისა და დაფასების. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ეს გარდაცვალების შემდეგ მოხდა.

ქართველმა საზოგადოებამ არ დაიცვა ილია არც მაშინ, როცა სოციალ-დემოკრატები სულს უნამლავდნენ. ეს არაფერია გააკეთა – არც აკაკიმ, არც იაკობ გოგებაშვილმა. ილია ჭავჭავაძეს თვითონ მოუხდა საკუთარი თავის დაცვა. საპასუხოდ საკმაოდ ვრცელი წერილი დაწერა სათაურით „ნუთუ?“, რომელიც არ დაუბეჭდეს მისივე დაარსებულ „ივერიაში“ და იძულებული გახდა, ცალკე ბროშურად გამოეცა. ეს არ არის დიდად გასაკვირი ამბავი, მსოფლიო იცნობს ასეთ პრეცედენტებს. სხვაგან რომ არ წავიდეთ, ჩვენი რუსთველიც კმარა. ადამიანი, სულთა და გულთა მკურნელი ქართველებისა, „ქართლის ცხოვრებაში“ ერთხელაც არ არის მოხსენიებული. როგორც ჩანს, ვერც მან ასიამოვნა მისდროინდელი მბრძანებლები საქართველოსი. მე, მაგალითად, ეჭვი არ მეპარება, რომ ის გააძევეს ჩვენი ქვეყნიდან.

ასეთი იყო დამოკიდებულება ილიას მიმართ. არ მინდა იმის თქმა, რომ მას პატივს არ სცემდნენ. უდავოდ დიდ პატივსაც სცემდნენ, მაგრამ ისიც ფაქტია და ძალიან სამწუხარო ფაქტია, რომ მის დასაცავად ხმა არავინ ამოიღო. რა თქმა უნდა, ეს სრულებით არ განაპირობებს დღევანდელ დამოკიდებულებას ილიას მიმართ. თუმცა, ამ დამოკიდებულებასაც ორი მხრიდან უნდა შევხედოთ: ერთი მხრივ, ჩვენ ლამის ვაღმერთებთ ილია ჭავჭავაძეს, მივგაჩნია, თითქოსდა, ყველაზე დიდ ქართველად, მაგრამ ფაქტი ერთია, ჩვენც, ჩვენი თაობა (მასობრივი ცნობიერება მაქვს მხედველობაში) კარგად არ იცნობს მას და სრულიად არ ვიქნებით შორს ქეშმარიტებისაგან, თუ ვიტყვით, რომ არც იყენებს მის ნააზრევს რეალურ ცხოვრებაში. ესეც ძალიან სამწუხაროა. თუ ილიას აზრი არ არის თანამედროვე, თუ ეს ასეა, მაშინ ძალიან ბუნებრივი ამბავია, იმიტომ რომ ილია ჭავჭავაძე შეიძლება იყოს ჩვენი დიდებული წარსული, რომელსაც პატივს მივავებთ, მაგრამ დღეს არაფერში გამოგვადგეს მისი აზრი. არა მგონია, რომ ასეა – პირიქით, საცხებით დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ სანინაღმდეგო მოსაზრებაა ქეშმარიტი. სევდის მომგვრელი ისაა, რომ დღევანდელი საზოგადოება მხოლოდ დეკლარირებს ილიას იდეებს, პატივს მიაგებს მათ, მაგრამ არ იხდის გზამკვლევადად. ეს, რასაკვირველია, უტრირებული აზრია, შესაძლოა მავანმა მცირე გამოჩენილები მოძებნოს კიდევ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა და არა სხვანაირად.

მოდი, ერთი წამით, დავუსვათ ჩვენს თავს კითხვა – რით შეიძლება იყოს ილია თანამედროვე? რა გააკეთა მან ისეთი, რაც დღესაც შეიძლება აქტუალური იყოს საქართველოს განვითარებისათვის? სხვათა შორის, ეს კითხვა მე დავსვი რუსთველთან დაკავშირებითაც. მოკლავს კიდევ ქართველი, რაიმე გადარწმუნებული სიტყვა რომ წამოგცდეს რუსთველზე, მაგრამ, დიდი ალბათობით, შეიძლება ნაკითხული არც ჰქონდეს „ვეფხისტყაოსანი“ ან – სათანადოდ გააზრებული; საინტერესოა, რას გვიპასუხებს კითხვაზე – რატომ არის რუსთველი დიდი პოეტი? – რიგითი მოქალაქე, პოლიტიკოსი, მასწავლებელი, მოსწავლე.

ახლა ჩემს აზრს მოგახსენებთ ამასთან დაკავშირებით: პირველი, რაც ილიამ გააკეთა ქართველთათვის - ეცადა ძალიან, რომ ჩვენი აზროვნება, ყოფა და ცხოვრება ყოფილიყო რაციონალური პრინციპებზე დაფუძნებული. ჩვენ ძალიან დიდ პატივს მივავებთ ემოციებს. ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი განვითარების კულტურა, ყოფა, ქცევა და ა.შ. დიდად არის დამოკიდებული ემოციებზე. ეს არ არის ცუდი, ქართველითა გულითადადობა/გულისხმიერება საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურასაც, სხვათა შორის, ძალიან უყვარს რაციონალური მიდგომებიც, გარდა ემოციურისა და ილია მთელი ცხოვრება ცდილობდა, რომ ქართველებისთვის შეეყვარებინა ამგვარად ფიქრი და მოქმედებაც. სხვა საქმეა, როგორ მოახერხა მან ეს, გაიმარჯვა თუ წააგო ამ ბრძოლაში. დღეს მე რომ ვუყურებ ქართველ საზოგადოებას, მაინც და მაინც დარწმუნებული არ ვარ, რომ ილიამ დიდ წარმატებას მიაღწია, რბილად რომ ვთქვათ. ილია ჭაჭვავაძემ აჩვენა, რას ნიშნავს რაციონალური მოქმედება და რას ნიშნავს რეალური შედეგები. ერთი მაგალითი გავიხსენოთ: გრიგოლ ყიფშიძე იხსენებს, ილიამ სათავადაზნაურო ბანკში, რომელიც 1875 წელს დააარსა, სრული 30 წელიწადი დაჰყო და მისმა ამაგამ ამ მხრივაც არ ჩაიარა უშედეგოდ, ბანკის წყალობით უდგია სული ყოველ ჩვენს კულტურულ დანებებულს, წელს მისი მოგება ნახევარი მილიონიაო. ძალიან საინტერესო ამბავია - სწორედ ილიას დაარსებული ბანკით ცოცხლობდა და სულდგმულობდა ბევრი კეთილი ქართული საქმე - ნახევარი მილიონი რუბლი კოლოსალური თანხაა, ძალიან წარმატებული ბანკი იყო. თავად განსაჯეთ, როცა ხარი ღირდა 2 აბაზი, ნახევარი მილიონი მართლაც უზარმაზარი ფულია.

მეორე მომენტი, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მგონია: საქართველოს ისტორიაში არიან გამორჩეული ადამიანები, რომელთა ფიქრი, ნაზრები თუ ლოგიკა ჰგავს ერთმანეთს. ჩემი აზრით, ოთხი ასეთი მოღვაწე გვყავს საქართველოში - გრიგოლ ხანძთელი, გიორგი ათონელი, სულხან-საბა ორბელიანი და ილია ჭაჭვავაძე. ერთგვარი პარადიგმა ახლავს საქართველოს ისტორიას, ასეთი რამდენიმე შეიძლება იყოს, მაგრამ ახლა ეს პარადიგმა მინდა წინა პლანზე წაიშოვო. მეჩვენება, რომ განსაკუთრებით გრიგოლ ხანძთელი და ილია ჭაჭვავაძე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ძალიან მასშტაბური მოღვაწენი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღებნი და მათი ძალიან რეალისტურად განმარტებული ლექსები, რამაც საუკეთესო შედეგები მოუტანა საქართველოს. ეს ორი ეპოქა ძალიან ჰგავს ერთმანეთს - იქ არაბები არიან, აქ - რუსები. იქაც არაბებმა მსოფლიო იმპერია შექმნეს, სამხრეთ ესპანეთიდან ინდოეთამდე, აქაც რუსეთის იმპერია დედამიწის 1/6-ზეა გადაჭიმული. იქ იბრძოდა ნერსე ერისთავი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, თუმცა ძალიან სევდიანად დამთავრდა ეს ისტორია. აქაც, 1801 წლიდან, აჯანყება აჯანყებას მოსდევდა, მაგრამ ეს გამოსვლები არ იყო სისტემური და ამიტომაც განწირული იყო დასაპარცხებლად. გრიგოლ ხანძთელმა და ილია ჭაჭვავაძემ დანახეს, რომ ხმალს, იარაღს თუ იდეა, ერთიანი კონცეპტუალური ხედვა და განათლება არ უმაგრებს ზურგს, ისე ეს ხმალ უძლებს. გრიგოლ ხანძთელის წასვლით ტაო-კლარჯეთის ახორებული, განადგურებული მხარეში (მურვან ყრუს შემოსევამ გააცამტვერა იქაურობა, რასაც შავი ჭირის ეპიდემიაც დაერთო), როგორც რეზო სირაძე წერდა, ბერ-მონაზვნური ცხოვრებით, კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობით ახალი პოლიტიკური ცენტრი შეიქმნა საქართველოში, საიდანაც დაიწყო ფიქრი და შემდეგ მოქმედებაც საქართველოს გაერთიანებისათვის, რაც დაგვირგვინდა ბაგრატ III-ის დროს. თბილისი ოდნავ გვიან, 1122 წელს, აიღო დავით აღმაშენებელმა. აი, რა იყო შედეგი გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის. ზემოთ პარადიგმა ვახსენე და სახარებაში არის ასეთი პარადიგმა - ჯერ მოდის წინამორბედი, მერე - მესია; ჯერ იყო იოანე ნათლისმცემელი და მერე მოვიდა იესო. ჩვენს ცხოვრებაში განმეორდა იგივე - ჯერ იყო გრიგოლ ხანძთელი და მასზე დაფუძნებით მოვიდა დავით აღმაშენებელი, რასაკვირველია, ათონელების გზის გავლით. ჩემი რწმენით, იგი იყო წინამორბედი. ილია ჭაჭვავაძემაც გაიმეორა-მეთუ გრიგოლ ხანძთელის გზა - ჯერ ფიქრი, მერე განაცხადა და გააკეთა კიდეც, რომ ყველას გაეგო, რა მნიშვნელობა აქვს განათლებას, კულტურას, ერთიანი ცნობიერების ჩამოყალიბებას ყოველი ერისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ქმნის სახელმწიფოს. ხშირად ამბობენ, რომ ილია ჭაჭვავაძე, თავის იდეაში, არ წასულა საქართველოს ავტონომიაზე წინ, მაგრამ მთელი მისი შემოქმედება, რასაკვირველია, არის ნიშანდობილი იმისა, როგორ ფიქრობდა ეს ადამიანი თავისუფლებაზე და როგორ წვრილდა ქართველ საზოგადოებას თავისუფლებისთვის. ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია „ივერია“ (1877წ.), წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879წ.), ქართული თეატრი, სათეატრო ამხანაგობა და დრამატული საზოგადოება (1880წ.), სასკოლო კომიტეტი, სათავადაზნაურო სკოლა და ა.შ. ილია ჭაჭვავაძემ, პრაქტიკულად, შექმნა ახალი კულტურული და საგანმანათლებლო კული საქართველოში, რომელიც ძლიერად უწყობდა ხელს ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას, რაც უზარმაზარი დამსახურებაა ქვეყნის წინაშე.

შემდეგი მომენტი, რაც მინდა გამოვიყო, ისაა, რომ მან წინა პლანზე წამოიწია პრინციპთა დაცვის მნიშვნელობა. არასდროს, რაიმე მოსაზრების გამო, ილია ჭაჭვავაძეს პრინციპები არ დაუთმოია. ამიტომ ამბობდნენ მასზე ხისტი, ჯოჯოხეთი კაციო, თუმცა პრინციპთა ერთგულება, რასაკვირველია, არ არის არც სიხისტე და არც უკმეობა. ეს არის „სამოქმედო მუდმივობა“ აღიარება და საკუთარი სინდისის კარნახით ცხოვრება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მაშინაც და ახლაც უკიდურესად ბევრი მედროვე იყო და არის. ილია ჭაჭვავაძემ ამ ცნებას („მედროვეს“) ყველაზე მეტად ვერ იტანდა და

ალიარებად მხოლოდ პრინციპთა პრინციპსა და ერთგულებას. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ილია ჭაჭვავაძემ, თანამოაზრებთან ერთად, ასწავლა საქართველოს - ესაა კომპლექსური აზროვნება, აზროვნება კონტექსტში. ჩვენი ქვეყნის რუსეთის პროვინციად ქცევამ ქართველი საზოგადოების აზროვნებასაც დაასვა დალი. ჩვენ ხშირად გვიჭირდა ეროვნული მოვლენების მსოფლიო კონტექსტში აღქმა და ანალიზი იმისა, რაც მაშინ ხდებოდა. ილიას პუბლიცისტური ნერილები არის კლასიკური ნიმუში და მაგალითი, როგორ უნდა ხედავდე, ერთი შეხედვით მცირე მოვლენებს, მასშტაბურ კონტექსტში. სიტყვისა და საქმის ერთიანობაც ძალიან მნიშვნელოვანი მოდელია, როდესაც ილია ჭაჭვავაძის ღვაწლზე ვლაპარაკობთ. სიტყვა და საქმე - ამ სიტყვების განცდა გასდევს ქართულ ლიტერატურას თავისი ისტორიის დიდ გზაზე. შორს რომ არ წავიდე, სულხან-საბა ორბელიანს გავიხსენებ - „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“. ილია ჭაჭვავაძეც კითხულობს მგზავრის ნერილებში: „ეს ყველაფერი სიტყვიანად შენმა ქვეყანამ საქმე, რომ მოუთხოვოს?“ ჩვენ ძალიან გვიყვარს სიტყვებში ცხოვრება. ბევრმა ისწავლა კარგად ლაპარაკი, მაგრამ ლაპარაკის იქით ძალიან ხშირად საქმე არ მიდის. აი, ილია ჭაჭვავაძე იყო კაცი, რომლისთვისაც სიტყვა და საქმე იყო ერთი და იგივე და ასწავლიდა საქართველოს ამ ცნებათა მნიშვნელობას. სამუხაროდ, ჩვენ აქაც ჯერ კიდევ ბევრი რესურსი გვაქვს განვითარებისათვის. ილია ჭაჭვავაძემ გვითხრა, რას ნიშნავს „საქმით მეტყველი სული“, ჯერ ლექსში ახსენა, მერე ოთარანთ ქვრივი და გიორგი ამის მხატვრული განსახიერებანი არიან. ეს არის საკუთარი თავისა და მთელი სამყაროს დიალექტური გააზრება. არაფერი ერთ ადგილაზე არ დგას, მას არ შეუძლია განვითარების გარეშე განიხილოს ესა თუ ის საკითხი, ფაქტი, თუნდაც მომხდარი. მას ესმოდა, რომ გაუთავებელმა ომებმა, შინააშლილობამ დაასუსტა საქართველო, ცდილობდა ამ დეგრადაციის შეჩერებას და ქვეყნის შემოზრუნებას განვითარების პროცესისკენ. ძალიან დიდი დრო დახარჯა საამისოდ ილია ჭაჭვავაძემ.

მის შემოქმედებაში დასმული დიაგნოზი კარგად უნდა გავიაზროთ, რომ გავიგოთ მომდევნო ნაბიჯების არსი და მნიშვნელობა. ჯერ კიდევ კიტა აბაშიძემ შენიშნა მართებულად ერთი კანონზომიერება, მაგრამ ამაზე მოგვიანებით. მე ასე ვუყურებ ამ დიაგნოზს და ხსნის გზასაც - მისთვის მთავარი იყო თავისუფლება, პოლიტიკური ავტონომია, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, სინერგია, რაც შემდეგ არჩილ ჯორჯაძესთან ჩამოყალიბდა „საერთო ნიადაგის“ თეორიის სახით; როგორ უნდა განვითარდეს ქართველთა ფიზიკური, გონებრივი, სულიერი ენერჯია ისე, რომ ერთი მიზნისკენ წაიყვანოს ჩვენი ქვეყანა თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებისკენ. ამას მაინც შეუძლებელია დაარსების იდეა და მერე მისი განხორციელება, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული პროფესიული ხედვები, დაბოლოს, მმართველობის დემოკრატიული მოდელის (ვეროპული მოდელის) დაფუძნების იდეა საქართველოში. ილია ჭაჭვავაძე აგრძელებდა ჩვენი წინაპრების გზას, მათ არჩევანს - როდესაც საქართველოს არჩევნის შესაძლებლობა ჰქონდა, ის ყოველთვის ირჩევდა განვითარების დასავლურ გზას, რაც გამოიხატებოდა ქრისტიანული ღირებულებების პირველადობით.

ზემოთ კიტა აბაშიძე ვახსენე. დააკვირდით, როგორ ლოგიკურად ხედავს იგი გარკვეული კონცეფციის განვითარების ხაზს ილიას შემოქმედებაში. „თუ ლუარსაბი და დარეჯანი, ეს დათიკოს კანონიერი მშობლები, მუცლის ამოყორებით ემსახურებოდნენ ხორცს, დათიკო თავისი ხორცის ყინიანობას გადაჰყვა, რომელიც სქესობრივი ვნებათაღელვის თავშესაფრად გადაქცეულიყო, ხოლო სისტემურად ექსპლუატაციამ ხორცისა, სქესობრივი ენერჯიის თავაშვევებულმა, უსაზღვრო გაფლანგვამ, მთელი ნოდება მოადუნა, სისხლი გაუშრო, ძარღვები დაუსუსტა და შემდეგი თაობა არჩილისა და კესოს სახით მოგვევლინა. კესო და არჩილი არჩილინი არიან. მათ არც არაფრის გაკეთება შეუძლიათ, არც კარგის წახდენა. მათ ხომ გრძნობებიც კი დაჩლუნგებული აქვთ იმდენზედ, რომ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას სჯაბნის თავში მშრალ-მშრალად დალაგებული, უსისხლო ხორცი ათასგვარი ტრადიცია. კესო გიორგის სიყვარულს ვერ გაუგებს არა თუ მარტო იმიტომ, რომ წარმოდგენაც კი არ შეუძლია, გლეხსა და ბატონს შორის სიყვარულის ხიდის გადგება შეუძლებლად, იმიტომაც, რომ მას სქესობრივი ენერჯია დაჩლუნგებული აქვს“. აი, რას წერდა კიტა აბაშიძე. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ კაცისა თუ ქვეყნის სასიცოცხლო ენერჯია უმინიმუმად შეიძლება შეეწიროს. რასაკვირველია, ყველაფერი ეს, მერე მიდის ლუარსაბ თათქარიძემდე. როგორც აკაკი ბაქრაძემ შენიშნა,

„ეს იყო არაფრობის უარყოფა“, რაც ილიას მიერ მხატვრულად წარმოდგენილია „კაცია ადამიანი?“

თუ ილია ჭაჭვავაძის მოღვაწეობის კიდევ ერთ მომენტს შევეხებით, მან აჩვენა განათლების მნიშვნელობა, შექმნა საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურისა და ხელოვნების ახალი - ობიექტურ ანალიზსა და შეფასებაზე დაფუძნებული ხედვა. ეს ხედვა იყო იმდენად თვითკრიტიკული, რომ, ხშირ შემთხვევაში, ქართველი საზოგადოების აღმოფხვრებასაც კი იწვევდა. მაგალითად, „რა ვაკეთეთ, რას ვვგრებოდით?!“, „ბედნიერი ერი“, „კითხვა-პასუხი“ ან „აჩრდილი“, სადაც წერს „აქ არვის, დიდსა თუ პატარასა, ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“. აქვე ნაჩვენებია, რომ არც სულიერი დედაქალაქი საქართველოსი - მცხეთა და არც პოლიტიკური დედაქალაქი - თბილისი აღარ არიან იმ ღირებულებებს დაწაფებულინი, რაც ოდითგან განაპირობებდა საქართველოს ისტორიის სწორი მიმართულებით მსვლელობას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი - ილია ჭაჭვავაძე იყო ადამიანი, რომელიც შეებრძოლა საქართველოში გაბატონებულ აზრს, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ განვითარებასა და წარმატებას, კეთილდღეობასა თუ ძალმოსილებას აბრკოლებს, „სხვისი ბრალია“. დავით გურამიშვილი ეცადა, დაენახებინა ქართველებისთვის (სულხან-საბაძე ეცადა ამას), რომ მარცხს განაპირობებს დიდწილად ის, რასაც შენ არ აკეთებ და არა ის, რასაც შენ გიკეთებ. ჩვენ მტერი და დამპყრობელი არასოდეს გვაკლდა, არც ჩვენი განვითარების მოწინააღმდეგეები, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საკუთარი დანაშაული, საკუთარი გადაცდომებიც დავიწახოთ, შევავასთო და აღარ გავიმეოროთ. თუმცა, ეს მაინცადამაინც არ გვჩვევია - ჩვენ (წარსულშიც და ახლაც) სისტემატურად ვუშვებთ ერთსა და იმავე შეცდომებს. ეს ხედვა, რომ ყველაფერი სხვისი ბრალი არ არის, დღესაც ჯერ კიდევ დასამკვიდრებელია. გვირჩევნია, სხვის დანაშაულზე ვილაპარაკოთ და არა საკუთარ პასუხისმგებლობაზე. ილია ჭაჭვავაძე სწორედ ამას მოგვინოვებდა, რომ ობიექტური ხედვის თვალში გავგვიხილა. და თუ ვამბობთ, რომ მის გზას მივყევით, მის იდეებს ვაზოცრივებთ, ეს უნდა გავითვალისწინოთ. იმისათვის, რომ საქართველო რაციონალურად მოაზროვნე და მოქმედ ქვეყნად ქცეულიყო, ილია ჭაჭვავაძემ დააყენა „ახალი ქართველის“ აღზრდის საკითხი, რასაკვირველია, იმის სრული შეგრძნებითა და შეგნებით, რომ ის, რაც ტრადიციულია, ღირებულოა, შეინარჩუნოს ადამიანმა, მაგრამ პარალელურად, წინ წამოსწია განვითარების იდეა, ახალი ღირებულებების, ახალი შესაძლებლობების მოპოვების იდეა. მაგალითად, ლექსში „ქართველის დედას“ ამბობს: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“. მაშინაც და ახლაც ქართველი საზოგადოება წარსულის განდიდებაში ღვრიდა ცრემლებს. სულ მივსტირით დავით აღმაშენებლის დროს, რომელიც, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ქართველებს დიდად არ უყვარდათ იმიტომ, რომ მან შექმნა სახელმწიფო, სადაც სრულად აკონტროლებდა ქართველთა „განზე ნასვლის“ სურვილს და უნესრულობისკენ მიდრეკილებას. „აღმაშენებელი“ მას მოგვიანებით უწოდეს. სიმპტომატურია, რომ თითქმის არც ერთი ხალხური ლექსი არ არის დანერული დავით აღმაშენებელზე. ძალიან ბევრი ლექსია თამარზე, ერეკლე მეფეზე (ეს ხალხის სიყვარულის გამომხატველია), მაგრამ დავითზე და გიორგი ბრწყინვალეზე - არც ერთი.

ილია ჭაჭვავაძემ მუდმივი განვითარების იდეა გააცოცხლა საქართველოში. ის იყო პროვინციული აზროვნების ჭაობიდან ჩვენი გამოყვანის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნიშანდობილი. სახარებისეული იდეა და მონოდეა, რომ ადამიანი მუდმივად ესწრაფვოდეს სრულქმნილებას - „იყვებით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“ (მათე, 5, 48) ილია ჭაჭვავაძისთვის იყო მრწამსი და კრედი. ის არ იყო ძალიან რელიგიური ადამიანი, მაგრამ კარგად ესმოდა იმ ღირებულებების და უცვლელბელი პოსტულატებისა, რაც მოცემულია სახარებასა და მთლიანად ბიბლიაში.

აი, მოკლედ, ვინ არის ილია ჭაჭვავაძე, მივძვეთ თუ არა მის ნაკვალევს, ვიზიარებთ და ვცნობიერებთ თუ არა მის ნააზრებსა და ნაღვანს. მეჩვენება, რომ არც დღევანდელ ქართველთა აქვს გაცნობიერებული ილიას ფენომენი. მხოლოდ საიუბილეო დღეებში მასზე ფიქრისა და ლაპარაკის გამო ვერ ჩავითვლებით ილიას გზის ქემშარიტ გამგრძელებლებად. ეს გზა კი გაქვევებული დოგმებისკენ კი არ მივივლივს, არამედ ცოცხალი აზროვნებისკენ, რომელიც - ერთადერთი! - უზრუნველყოფს კაცის, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს მუდმივი და მიზანმიმართულ განვითარებას.



საუბრაბი ლიტერატურაზე

# საერო პირთა სახეები ქართულ ჰაბიობრაფიაში

თუ ძველ, ქართულ ქრისტიანულ მწერლობას თვალს გადავავლებთ, ზღვის ფსკერიდან ამოზიდული მთებოვით თვალსაჩინო ნარმოვადგებიან ქრისტიანთა წამებულთა ღვთიური სხვივით გაბრწყინებული სახეები. და რა ძნელია, საოცრად ძნელი, ბუმბერაზ მთებში პატარა ბორცვების პოვნა და მიგნება. იმ ბორცვებისა, რომლებიც თითქოს არაფერია ცად ატყორცნილი მთების გვერდით, მაგრამ შემოქმედის მათი არსებობაც აუცილებლობად მიუჩნევია. ალბათ მიმიხვდით – საუბარი საერო პირებს შეეხება. ისინი უმდიდრეს ქართულ ჰაბიობრაფიაში სწორედ პატარა ბორცვებად წარმომიდგენია და, ისევე როგორც ძნელია უმნიშვნელო ბორცვების როლის განსაზღვრა უკიდურესო სამყაროში, ასევე რთულია საერო პირთა როლის მიგნება ქრისტიანულ ლიტერატურაში. და აი, ეს აღმოჩენა, ღვთის მადლით, ჩვენს უდიდეს ავოგრაფს გიორგი მერჩულეს ხვდა წილად – „ჩუენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი და ესრეთ შევზავნეთ ურთიერთს“ – თუ ვინ როგორ შეასრულა საერო პირთაგან ეს როლი, ამის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. საერო პირების სახეების სრული პორტრეტის ჩამოსაყალიბებლად სასულიერო მწერლობა მეტად ძუნწ ცნობებს იძლევა. თუმცა, მათი პიროვნული არსის გახსნაში, ურომლისოდაც შეუძლებელია სულ უმნიშვნელო პერსონაჟის მხატვრული სახის გაანალიზებაც კი, ვფიქრობ მცირე მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ ვინ როგორ შეასრულა როლი, რომელიც მისთვის, როგორც საერო პირისთვის, იყო განკუთვნილი. დავინყო წამებათა ციკლიდან, როდესაც გიორგი მერჩულის მიგნება ჯერ კიდევ მიუგნებელი იყო.

**„შუშანიკის წამებში“** ნათლად გამოკვეთილი სახეები საერო პირებისა, რომლებიც ორგანულ კავშირში არიან თხზულების სიუჟეტის განვითარებასთან, ვარსკენი და ჯოჯიკია. იაკობ ხუცესი არატენდენციური მწერალია; მიუხედავ იმისა, რომ ვარსკენს სამხელი ეპითეტებით ამკობს – „სამგზის საწყალობელი“, „მგელი იგი“, „უბადრუკი“ და სხვა, მართლად თხრობილი ამბის წყალობით ვარსკენის სახეს სულ მთლად მუქ ფერებში ვერ წარმოიდგენს მკითხველი. კაცი, რომელმაც უარყო ქრისტიანობა, რომელსაც უნდა საკუთარი საპიტიახში ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოეყო, ყოველ შემთხვევაში, სხვა მიზეზი მას მხედველობის მიღების ნაწარმოებიდან არ ჩანს და ამას აკეთებს შეგნებულად (ე.ი. გათვითცნობიერებული აქვს ის დიდი დანაშაული, რომელსაც სამშობლოს წინაშე სჩადის) თუ შეუგნებლად, ორივე შემთხვევაში, ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, შესაბრალებელი და შესაწყობებელია. შუშანიკს შებრალებით კი ებრალება, მაგრამ შეწყნარებით არ იწყნარებს.

ვარსკენი შუშანიკის საბოლოოდ სასახლეში დასაბრუნებლად, ქრისტიანობის უარყოფაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია – მთელ თხზულებაში ამის შესახებ ვარსკენის მიერ ნათქვამ ერთ სიტყვასაც ვერ ვნახავთ, ვერაფერს ახერხებს. აქედან გამომდინარე, შუშანიკი ვარსკენზე ბევრად უფრო მალა დგას სულიერად. ამასაც რომ თავი გავანებოთ ვარსკენი შესაბრალებელია, როგორც მამაკაცი, რომელსაც მეუღლე ვერ დაუმორჩილებია. თავის მხრივ, შუშანიკმა ბრწყინვალედ იცის ქმრის ხასიათი და იყენებს ამ ცოდნას საკუთარი მიზნის მისაღწევად.

მიუხედავად მაზდეანობის მიღებისა, ვარსკენს სურს, კვლავ ძველებური ურთიერთობა ჰქონდეს ყველასთან – როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებთან, ე.ი. მისი საპიტიახში მკვიდრთათვის ქრისტიანი თუ მაზდეანი ვარსკენი, მანაც ვარსკენი უნდა ყოფილიყო პირველყოვლისა და შემდეგ რომელიმე სარწმუნოების მიმდევარი, მაგრამ ვერც ამას აღწევს შუშანიკის გადაწყვეტი.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რატომ არ არის ვარსკენი დაღებული გმირი: პირველყოვლისა, თუნდაც იმიტომ, რომ იაკობ ხუცესი, პირადად მომხსნე და მხილველი შუშანიკის გვემისა, მთლად უსაფუძვლოდ ზემოთ მოყვანილი ეპითეტებით არ შეამკობდა მას. შემდეგ, ვარსკენმა კარგად იცის – დამორცხებულია შუშანიკის წინაშე სულიერად, მაგრამ ხორციელი განადგურება ან გადარჩენა ამ ქალისა, მის ხელშია, და ამ უკანასკნელ საშუალებას მშვენიერად იყენებს; შურისძიების გრძობით დაბრმავებული ვარსკენი ვეღარ ხვდება, თუ როგორ ასხამს მოწინააღმდეგე ცოლის ნისკვილზე წყალს. დიხა, შუშანიკის სურვილია ის იყო, რომ წმინდანობის გზაზე შემდგარს საწინააღმდეგე ყველა, რის შედეგადაც განიწმინდებოდა ცოდვითაგან – „სისხლი ესე განმწმენდელ არს ცოდვითა ჩემთაგან“ – განმწმენდილი და ამქვეყნიური ამოებისაგან ბორკილებერილი სული სამუდამო სასუფეველს ჰპოვებდა ზეცაში. ხოლო, რაც შეეხება ვარსკენს, იგი არ იყო ბუნებით ქრისტიანი, ამიტომაც შურისძიების გრძობამ ღრმად შეძლო ფესვის გადგმა მის არსში და, შესაბამისად, მისი სული საბოლოო მარცხისაგან ვეღარ დაიფარა განგებამ.

იაკობ ხუცესი (და საერთოდ ავოგრაფი ავტორები) პერსონაჟის პიროვნულ არსს მათ ქმედებებში ხსნიან. ახლა იმ როლის შესახებ, რომელიც ვარსკენს უნდა შეესრულებინა ქვეყნის, ხალხისა და ქრისტიანული სამყაროს წინაშე – „არცა ჭირი ეხილა, არცა მახვილი, არცა პყრობილება ქრისტიანთის“. იაკობ ხუცესის ამ სიტყვების შემდეგ კომენტარი ვარსკენის მიერ „ხორციელი კეთილის“ ვალების შესახებ ზედმეტია.

ჯოჯიკი, ძმასთან შედარებით, მეტად ფრთხილი პიროვნებაა. მართალია, ჯოჯიკი ეხებება შუშანიკს დაბრუნდეს სასახლეში, უზომოდ მეურაცხოვრილი ცოლის პატრონი, კიდევ დედოფლის დასაცავად ვალებს ხელს, ვარსკენს სთხოვს, რომ ბორკილები ახსნას შუშანიკს, მაგრამ ყველაფერი ეს არ სცილდება ვინრო, ოჯახური ურთიერთობის ფარგლებს. ჯოჯიკი მხოლოდ მაშინ ერევა მისა და მძლის ბრძოლაში, როცა გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდება, ამ კაცის ქმედება თით-

ქოს გაორებულია, რადგან, ერთი მხრივ, სურს დაიცვას თან-შემზრდილი დედოფალი, ხოლო მეორე მხრივ, ერიდება მძის წინააღმდეგ ამკარა ბრძოლას. ეს ჯოჯიკს კარგად აქვს გათვითცნობიერებული და ალბათ სწორედ ამ პასუხი ქმედების შენდობას სთხოვს შუშანიკს. რაც შეეხება მის ღვაწლს ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე, იაკობ ხუცესი ამის შესახებ არავითარ ცნობას არ გვაწვდის.

კიდევ ერთი საერო პირი, რომელიც წანარმოებში იხსენიება, მაგრამ არ არის მოქმედი პერსონაჟი, გახლავთ ვარსკენისა და ჯოჯიკის მამა – არშუმა პიტიახში. იგი სომხეთისა და ალბანეთის დიდებულებთან ერთად, დაახლოებით, 450 წელს სპარსეთის შაჰის – იეზიდგერდ II-ის – კარზე გაიწვიეს, სადაც იძულებით (ქვეყანა აოხრებისაგან რომ ეხსნა) მაზდეანობა მიიღო და ერთხანს შაჰმა მიველადაც კი დაიტოვა. მიუხედავად ამისა, შუშანიკი მას ეკლესიათა აღმშენებლად და ქვემარტივ ღმერთის ამლიარებლად მოიხსენიებს: „მამამან შემან აღჰმართა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენა.მან ღმერთი ცათი და ქუეყანისი აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ქვემარტივი უფარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის-ეც...“ ამდენად, ნათლად იკვეთება თუ როდენ დიდი განსხვავებაა ქვემარტივთა საკუთარი ნებით უარყოფილი ადამიანის საქმეებსა და იძულებით უარყოფილი ადამიანის საქმეებს შორის.

**იოანე საბანისძის თხზულებაში „მარტვილობა შაბოისი“** საერო პირთაგან სულ ორი პერსონაჟია (თუ არ ჩავთვლით ხაზართა მეფეს), ერთი – ქართლის ერისთავი ნერსე, ხოლო მეორე – აფხაზეთის მეფე ლეონ პირველი. აფხაზეთის მეფეს ავტორი მხოლოდ მთავრად იხსენიებს, მაგრამ ნაწარმოების დანერის თარიღით და ბროსეს მიერ აფხაზეთა მეფეების მეფობის თარიღების გამოანგარიშებით, აფხაზეთის ეს მთავარი **ლეონ პირველი** უნდა იყოს.

იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებით“ ქართულ ჰაბიობრაფიაში ახალი ერა იწყება. ეს თხზულება დასაწყისია იმ შემოქმედებითი მწვერვალისა, რომელიც X-XI საუკუნეებში აღიმართა ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში. მართალია, ნაწარმოები წამებათა ჟანრს განეკუთვნება, მაგრამ (თუ გადაჭარბებული არ იქნება), იგი რადიკალურად განსხვავდება ამ ჟანრისაგან, თხზულებაში შეიმჩნევა ჩანასახები ცხოვრებათა ციკლისა და, რაც ყველაზე მთავარია, ივანე ჯავახიშვილის აზრით, იგი პირველი ძეგლია, სადაც ნათლად იკვეთება „ეროვნულ-საეკლესიო მიმართულება“. სწორედ ამ საძირკველზე აშენდა ის უწმინდესი და უძლიერესი ტაძარი, რომელსაც ქართული ჰაბიობრაფია ჰქვია.

იოანე საბანისძის თხზულებიდან მოყოლებული აშკარა ცვლილება შეიმჩნევა საერო პირების სახეების ხატვაშიც. ზემოთ საუბარი მქონდა საერო პირების როლზე ქრისტიანულ სამყაროში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იაკობ ხუცესის გარდა ამ საკითხს არც ერთი ჰაბიობრაფი ავტორი არ შეხებია. იაკობმა ღვთის მიერ მინიჭებული უდიდესი მწერლობის ინტუიციით იგრძნო ის, რაც, ასე ვთქვათ, ფორმულის სახით ჩამოგვიყალიბა შემდეგ გიორგი მერჩულემ. საერო პირების როლზე არც იოანე საბანისძე არ საუბრობს, მაგრამ ამბავს მოგვითხრობს ისე, რომ შესაძლებელია გარკვევა იმისა, თუ როგორ იღვწავდა ნერსე ერისთავი და აფხაზეთა მთავარი ქრისტიანობისა და ერისთავის. ეს ხომ ზუსტად ის პერიოდი, როცა ქართველთა შეგნებაში შენივთებას იწყებს ეროვნული და სარწმუნოებრივი მრწამსი, რომელიც „ეროვნულ-საეკლესიო ნიადაგზე“ გაღვივდა.

ისტორიული ვითარების მიხედვით, VII საუკუნეში, ქართლში მეფობა გაუქმებულია. ქვეყანას მართავს ერისმთავარი. ნერსე („ძეი ადარნერსე კურაპალატისა და ერისმთავრისაი“), რომელსაც სარკინობთა ამირა მუშინი აბალა შემოსწარა, თავისთან იხმო და სამი წელი „პატიმარ-ჰყო“. მუშინი აბალას ძემ მაჰმად გაათავისუფლა ნერსე, მაგრამ „იყო დღეთა მათ შინა კულად განრისხებაი ხელმწიფეთა მათ სარკინოზთაი“. ამ ცნობების მიხედვით, ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნერსე ერისთავი მარტოოდენ არაბების ნება-სურვილის აღმსრულებელი და მათი ყურმოჭრილი ყმა არ იქნებოდა. ჩანს იგი შეძლებისდაგვარად მოქმედებდა არაბების წინააღმდეგ. აბოს გაქრისტიანებაშიც მცირე წვლილი არ უნდა მიუძღვოდეს ნერსე ერისთავს. იგი თავადაც ღრმადმორწმუნე და ქვემარტივი ქრისტიანი იქნებოდა, რამეთუ „მხიარულ იქმნა ნერსე“, რაჟამს შეიტყო – დისწილის, სტეფანოზის ერისმთავრად დასმა. შესაძლოა სტეფანოზის, ისე როგორც გრიგოლ ხანძთელის აღზრდაში, ნერსეს გარკვეული როლი ჰქონდა ნათამაშები. ამ აზრს საფუძვლად უდევს სტეფანოზის ქმედება – გავიხსენოთ, როგორ გაათავისუფლებინებს ამირას პატიმრობიდან აბოს.

ნერსესათვის მთავარი იყო არა ქართლის განმგებლობა, არამედ ქვეყნის მიერ ძალის მოკრება და ნიადაგის მოშაღება არაბთა ბატონობის უღლის გადასაგდებად. ნერსეს სწორედ ამიტომაც უხარია თავისი დისწულის გაერისმთავრება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ „უფლები იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნერსე ერისთავის პიროვნება იკვეთება, როგორც ღრმადმორწმუნე, ქვემარტივი ქრისტიანი, რომელსაც ბოლომდე ჰქონდა გათვითცნობიერებული, შეგნებული და ჩამოყალიბებული სარწმუნოებისა და მამული-სათვის საჭირო ქმედება შესაბამის დროსა და სიტუაციაში.

„წამებათა“ ციკლში მოხსენიებულ საერო პირთა შესახებ გადმოცემული ცნობები მრავალფეროვნებით ხასიათდება. ეს მრავალფეროვნება თავისთავად წარმოგვიდგენს თავლწინ ძიების გზას, თუ რა ცნობის გადმოცემა იყო საჭირო საერო პერსონაჟის ცხოვრებიდან, მისი პორტრეტის მეტ-ნაკლებად წარმოსახვისა და პიროვნული არსის გახსნისათვის.

„ცხოვრებათა“ ციკლში კი, ერთი და იმავე ცნობებს ვხვდებ-

ბით. სხვა მრავალ, რადიკალურ ცვლილებებთან ერთად, რაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით შემოიტანა გიორგი მერჩულემ ქართულ ჰაბიობრაფიაში, არის საერო პირთა ხატვის ახლებური მეთოდიც, რომლითაც შემდგომ მთელი რიგი დიდი ჰაბიობრაფი ავტორები სარგებლობდნენ. ამ უდიდესი გარდატეხის მოხდენა კი, ღვთის მადლით, მხოლოდ ისეთ ბუმბერაზ შემოქმედს ხელეწიფებოდა, რომლის სიტყვასაც გრიგოლ რობაქიძის ხატოვანი თქმით – „აქვს ქალწულებრივი დარცხვენა და ამავე დროს მორკინაღლის შემართება“.

მორკინალნი გახლდნენ ნერსე ერისთავი, აშოტ I, დიდი კურაპალატი, მისი ძენი – ადარნერსე, გუარამი და ბაგრატ, გაბრიელ დაფანჩული, აფხაზეთის მეფეები – ლეონ I, დემეტრე II, (ლეონ I-ის ძმის, ლეონ II-ის შვილი).

აშოტ კურაპალატით იწყება ბაგრატიონთა დინასტიის მეფობა საქართველოში. იგი თავდაპირველად ქართლის მთავარი გახლდათ. არაბთა ბატონობის გაძლიერებასთან ერთად, აშოტი იძულებული ხდება გადაინაცვლოს სამხრეთ საქართველოში, (ბიზანტიის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე), კერძოდ, შავშეთ-კლარჯეთში. აქ იგი აღადგენს ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებულ და მურვან ყრუს მიერ განადგურებულ არტანუჯის ციხეს. გიორგი მერჩულე აშოტ კურაპალატს, პირველ ბაგრატიონისა და წმინდანს ამ დინასტიიდან, შემდეგნაირად დაალოცვინებს გრიგოლ ხანძთელს – „არა მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუეყანათა ამით უკუნისამდე ჟამთა და მათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე!“ – წმინდა გრიგოლის ამ ლოცვა-კურთხევამ ბაგრატიონები ათი საუკუნის განმავლობაში ამფება საქართველოში (ვიდრე თავად არ თქვა უარი მირონცხენასა და ტახტზე ასვლაზე დავით ბატონიშვილმა, გიორგი XII-ის ძემ). აშოტი და მისი ძენი რეალურად ეპითეტებს – „მაღალი, უხვი, მდაბალი“ – ნამდვილად იმსახურებენ: „შენიწინა ადგილნი კეთილნი და შატერდისა ადგილი აგარაკად ხანძისა... დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა... შენორც თითოეულად, რაცა სახმარი მონასტერსა მისსა უხმდა, ყოველი უხვებით“. აშოტის დიდებულებას გასაოცრად გამოგვიცემს ავტორი მაშინ, როდესაც მას გლოვობს წმინდა გრიგოლი – „ჰოი, მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო! ...ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკვირველი ევე დიდებული ღმერთისმსახური ხელმწიფეი“. მეფის **თავმდებლობის** შეუდარებელი მაგალითია ფებრონიას მიერ პატარა ბავშვივით დამორჩილებული ვაჟკაცი, რომელიც სიკვდილს ნატრულობს წართმეული სიყვარულის გამო – „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“.

ისტორიული წყაროების მიხედვით, აშოტ კურაპალატი შეძლებისდაგვარად ავიწროებდა არაბებს და აფართოებდა ქვეყნის საზღვრებს. მათი თარეშის ასალაგმავად, იგი პერიოდულად ესხმოდა მტერს თავს. ერთ-ერთი შეტაკების დროს ოროზ-მოროზის ძებმა, აშოტ კურაპალატი მოიხელთეს და დოლისყანის ეკლესიაში შეფარებული, ხმლით განგმირეს ტაძრის საკურთხეველში (მისი სისხლის კვალი ბოლო დრომდე შეინიშნებოდა დოლისყანის ეკლესიაში). დოლისყანელებმა რა შეიტყვეს მათი საყვარელი მეფის მკვლელობა, დაედევნენ მტერს და მთლიანად განყვიტეს. აშოტ კურაპალატი დაკრძალეს არტანუჯის პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

აშოტის ძეთაგან მეფობა შუათანას – ბაგრატ ხვდა წილად. რაც შეეხება აფხაზეთა მეფეს, დემეტრე II-ს, ისტორიული ცნობების მიხედვით, იგი აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა როგორც ბიზანტიის, ასევე არაბთა ბატონობის წინააღმდეგ, საშინაო პოლიტიკაში კი, დემეტრეს სახელმწიფოებრივი აზროვნება კარგად ჩანს მის სურვილში – დასავლეთ საქართველოში განემტკიცებინა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის გავლენა. სწორედ ამ მიზნით სთხოვს გრიგოლ ხანძთელს ეკლესიის აშენებას. მათ „მოვლენს ქუეყანანი“, მაგრამ წმინდა გრიგოლმა ვერ პოვა სა-მონასტრო ადგილი იმდენად, რამდენადაც, „ტალანტი მონაზონისაი მარხვაი არს, და ამას მინასა ზედა ვერ ეგებინა მარხვაი სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებლისა“. დემეტრე ფრიად შეწუხდება და ეტყვის – „არა სამართალ არს კეთილთა თქუენტაგან უნაწილობაი ამის ქუეყანისაი“. ავტორი გადმოგვცემს: „მაშინ მამამან გრიგოლ სარწმუნოებისა-ებრ მეფისა აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უხეი“. ამდენად, დემეტრეს სახე, ნაწარმოების მიხედვით, იკვეთება, როგორც კეთილმორწმუნე მეფისა.

გაბრიელ დაფანჩული, როგორც ავტორი, გადმოგვცემს, „შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ...კეთილად მორწმუნეობითა ქებულ იყო“. სწორედ ასეთი პიროვნება განსაზღვრავს იმ სიკეთეს, რომლებიც სამღვდელოებასა თუ ერისკაცთ გააჩნიათ და რომლებიც უნდა მონაწილეობდნენ ქვეყანას – „ჩვენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი და ესრეთ შევზავნეთ ურთიერთს“.

**ლია გომოხინა**  
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

**გამოყენებული ლიტერატურა:**  
გრიგოლ რობაქიძის სტატია – „საქართველოს ხერხემალი“; ივანე ჯავახიშვილი – საქართველოს ისტორია, ვიკიპედია

გამოსვლითაა

ეფექტური სასწავლო მიზნების დასახვა მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე და კომენტარის გაკეთება

თემის დამუშავებას წინ უსწრებდა მოკლე დაკვირვება და კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს მასწავლებელი ახალ გაკვეთილს, როგორ აყალიბებს საგაკვეთილო მიზნებს, არის თუ არა სასწავლო მიზნები მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული და რამდენად გადის მასწავლებელი, დასახული მიზნით, კონკრეტულ შედეგზე. დაკვირვებას, ძირითადად, პედაგოგებთან ურთიერთდასწრების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის და ურთიერთთანამშრომლობის დროს ვახდენდი. აღმოვაჩინე, რომ მასწავლებელი, ძირითადად, ორიენტირებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სასწავლო მიზნებზე და საჭიროებიდან გამომდინარე არ ახდენს მის მოდიფიცირებას.

ჩემი ყურადღება იმანაც მიიქცია, რომ მასწავლებელი, უმეტეს შემთხვევაში, მოსწავლეს აძლევს განმსაზღვრელ შეფასებას და არ აკეთებს კომენტარს, თუ რატომ დაუწერა ესა თუ ის ქულა. აღნიშნულ შემთხვევაში მოსწავლე ვერ ხვდება, რატომ დაიმსახურა მან 8 ქულა და მისმა კლასელმა - 10. ამ დაკვირვების მოკლე ანალიზის საფუძველზე გადავწყვიტე, ჩემი გამოცდილება კოლეგებისათვის გამეზიარებინა.

თემში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა სასწავლო მიზნების განსაზღვრა და კომენტარის გაკეთება. ფიქრობ, ეს სტატია დაეხმარება კოლეგებს, უკეთ გააცნობიერონ მიზნების ეფექტურობის, კომენტარის, როგორც განმავითარებელი შეფასების აუცილებლობა, სწავლის ხარისხის და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

ზოგადი განმარტებით, მიზნების დასახვა სწავლისთვის მმართველ ადამიანებს კარგად აქვთ განვითარებული და გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მიღწევაში ეხმარება მათ. ამ მიმართულებით არაერთი მკვლევარი ცდილობდა დასკვნის გაკეთებას, მათ შორის აღსანიშნავია უაიზი და ოქი (1983წ.), უოლბერგი (1999წ.), ლიფსი და უილსონი (1993წ.). ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გამოიკვეთა სამი განზოგადებული დასკვნა. ეს დასკვნები სასარგებლო იქნება ყველა იმ მასწავლებლისთვის, რომელიც თავიანთ პრაქტიკაში სწავლის მიზნების დასახვის მეთოდის გამოყენებას აპირებენ:

1. სასწავლო მიზნების განსაზღვრის შედეგად, მოსწავლის ყურადღება მხოლოდ კონკრეტულ მასალაზეა მიმართული;
2. სასწავლო მიზნები არ უნდა იყოს ზედმეტად დაკონკრეტებული;
3. მოსწავლეები უნდა წავახალისოთ, რომ გაიაზრონ მასწავლებლის მიერ დასახული მიზნები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი: პირველ დასკვნაში კვლევებმა აჩვენა, რომ მიზნის დასახვა სასარგებლოა მხოლოდ იმ კონკრეტული სასწავლო შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, რაც მიზნებშია ჩამოყალიბებული. მიზნების წინასწარ ჩამოყალიბება უარყოფით გავლენას ახდენს დანარჩენ შედეგებზე. ჰ. უოლბერგი (1999 წ.) სასწავლო მიზნებთან დაკავშირებული 20 კვლევის შედეგები გააანალიზა და დაასკვნა, რომ მიზნების დასახვა უარყოფით გავლენას ახდენს „წინასწარ განუსაზღვრელ შედეგებზე“. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მასწავლებელი წინასწარ აკონკრეტებს სწავლის მოსალოდნელ შედეგს (მაგალითად ასე: მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, რა მიზანს ემსახურებოდა ათენის მიერ საზღვაო კავშირის შექმრა), შეიძლება მოსწავლეებმა ვერ გაიაზრონ ამ თემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, როგორც იმ შემთხვევაში, თუ სწავლის შედეგი წინასწარ ჩამოყალიბებული არ იქნებოდა. გამოდის, რომ თუ ტესტი ათენის მიერ საზღვაო კავშირის შექმრის მიზნებს არ შეეხება, მაშინ იმ კლასის მოსწავლე, რომელშიც კონკრეტული სასწავლო მიზნები იქნა დასახული, მიიღებს დაბალ შეფასებას, ვიდრე იმ კლასიდან, სადაც ასეთი მიზნები დასახული არ იყო. თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ მიზნის დასახვა მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციას მხოლოდ კონკრეტულ საკითხზე ახდენს და ის დანარ-

ჩენ მასალას საფუძვლიანად ვეღარ ითვისებს. მეორე დასკვნაში კვლევები ადასტურებს, რომ ზოგადი ფორმით წარმოდგენილი სასწავლო მიზნები უფრო ეფექტურია, ვიდრე ბიპევიორისტული ფორმით ჩამოყალიბებული მიზნები. 111 კვლევის შედეგების შესწავლის შემდეგ დაასკვნეს, რომ ბიპევიორისტული მიზნების გამოყენების ეფექტი კლასში საკმაოდ დაბალია, ეფექტის სიდიდეა 0,12 და შეესიტყვება 5 პროცენტიალით ზრდას. ეს შედეგი გამოწვეულია იმით, რომ ბიპევიორისტული მიზნები ძალიან კონკრეტულია. 1962 წლიდან, რაც საკმაოდ პოპულარული გახდა ბიპევიორისტული მიზნების გამოყენება, შეფასების ექსპერტმა რობერტ მეიგერმა გამოაქვეყნა წიგნი „სასწავლო მიზნების მომზადება“. მეიგერი აღწერს, რომ ეფექტურ სასწავლო მიზნებს სამი განმსაზღვრელი მახასიათებელი აქვს, ესენია:

1. შედეგი. მიზანი ყოველთვის აღწერს იმ შედეგს, რასაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს;
  2. პირობები. მიზანი ყოველთვის აღწერს იმ პირობებს, რომელშიც შედეგების წარმოდგენა უნდა მოხდეს;
  3. კრიტერიუმი. სასწავლო მიზანი აყალიბებს უნარის წარმოდგენის დონეს, რომელსაც მოსწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს და ასევე, განმარტავს შეფასების კრიტერიუმებს.
- თუ კარგად დავაკვირდებით, მეიგერის ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნები ძალიან კონკრეტულია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სწავლის პროცესი მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომებს და კონსტრუქციულ ზეგავლენას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ასეთი მიზნები ზედმეტად კონკრეტულიც კი არის. მესამე კვლევის დასკვნიდან გამომდინარე იკვეთება, რომ მასწავლებლებმა, ჩამოყალიბებული მიზნებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს მისცეს საშუალება, მოახდინონ ამ მიზნების საკუთარ საჭიროებებზე მორგება. გამოდის, რომ მიზნები არ უნდა იყოს ზედმეტად კონკრეტული. თუ მიზნები ზედმეტად კონკრეტული იქნება, მაშინ მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ, მიზნები მათ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს მოარგონ.

**მაგალითი პირადი პრაქტიკიდან:**  
სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს მივანოდე ზოგადი მიზნები და ვთხოვე, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, დაედასახათ საკუთარი მიზნები. როცა მოსწავლეებმა პირველი მსოფლიო ომის შესწავლა დაიწყეს, კლასს დავესახევი მიზნად პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ცოდნა. ერთ-ერთმა მოსწავლემ თავის სასწავლო მიზანში ჩამოაყალიბა:

- მიხდა გავიგო, რამდენი ქვეყანა ჩაერთო პირველ მსოფლიო ომში;
- ვიცი, რომ გერმანია დამარცხდა, მაგრამ რა გახდა ამის რეალური მიზეზი;
- მიხდა ვიცოდე, რომელი ქვეყანა დაზარალდა ყველაზე მეტად ომის შედეგად.

ამ ყველაფერმა ზუსტი ინფორმაცია მომცა, თუ როგორ დამესახა სასწავლო მიზნები, თითოეული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. ძალზე ეფექტურია მიზნების დასახვა „სახელმწიფოებში“ ფორმით. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები არა მხოლოდ აყალიბებენ მისაღწევ მიზნებს, არამედ ხელშეკრულებას დებენ იმ ნიშნზე, რომელსაც ამ მიზნის მიღწევის შემთხვევაში მიიღებენ.

**მაგალითი პირადი პრაქტიკიდან:**  
ჯვაროსნული ლაშქრობების შესწავლის დროს, მოსწავლეებს მივუტანე ხელმეორელები, სადაც ჩამონერილი იყო რა უნარები უნდა დაეკმაყოფილებინათ (მაგალითად, პრეზენტაციის გაკეთება, ტესტზე მუშაობა, წყაროს გაანალიზება, სქემის შევსება, რუკის განხილვა). მეორე ნაწილი ეხებოდა იმას, რა უნდა სცოდნოდეთ ან გაეაზრებინათ მოსწავლეებს (მაგალითად, რატომ დანიყო ჯვაროსნული ომები? რატომ იტოვებენ მოიცვა ომმა, ვინ იყვნენ მეთაურები, რა შედეგები მოუტანა ომში მონაწილე ქვეყნებს, სარაინოდ ორდენების ჩამოყალიბების წინაპი-

რობა და მიზეზები და ა.შ.). მასალის შესწავლის დროს, თავიანთი ხელშეკრულების პირობები რომ დაეკმაყოფილებინათ, მოსწავლეები მუდმივად მეკონტაქტებოდნენ და განიხილავდნენ, რა ისწავლეს ხელშეკრულებაში მითითებული საკითხებიდან. ამ გზით მათ სწავლის პროცესის მართვის საშუალება მიეცია.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია კომენტარის გაკეთება, რომელიც მოსწავლეს კონკრეტული უნარების და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში ეხმარება. კვლევები ადასტურებს, რომ კომენტარის გაკეთება სწავლების ძალიან ეფექტური მეთოდია. მკვლევარმა ჯონ ჰეთიმ (1992 წ.) 8000-მდე მაგალითი განიხილა და დაასკვნა: „ყველაზე ძლიერი მეთოდი, რომელიც მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას აუმჯობესებს, კომენტარის გაკეთებაა. შესაბამისად, განათლების ხარისხის გაუმჯობესების ყველაზე მარტივი რეცეპტი იქნებოდა – „რაც შეიძლება ხშირად გააკეთეთ კომენტარები“.

კომენტარების გაკეთების შესახებ ჩატარებული კვლევებიდან გამოიკვეთა ოთხი განზოგადებული დასკვნა:

1. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარი ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის შედეგის გაუმჯობესებაზე. მოსწავლისთვის მხოლოდ იმის მინიშნება, სწორია თუ არა მისი პასუხი, უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. კომენტარი სასარგებლოა მაშინ, თუ ის ზედმინიშნით უხსნის მოსწავლეს, რა არის მისი პასუხში სწორი და რა – არა. იმის მითითებაც, რომ იმუშაოს დავალებაზე, სანამ განსაზღვრულ შედეგს არ მიაღწევს, ასევე ზრდის მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას.
2. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარი დროულად უნდა იყოს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად დროულად მივანვდით მოსწავლეს კომენტარს. მაგალითად, სასურველია, ტესტის დასრულებიდან 2-3 დღეში, მოსწავლემ იცოდეს, რა აქვს გასაუმჯობესებელი იმისათვის, რომ გავიდეს კონკრეტულ შედეგზე.
3. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარები კონკრეტულ კრიტერიუმს უნდა უკავშირდებოდეს. კომენტარები მოსწავლისათვის სასარგებლო რომ იყოს, აუცილებელია, გარკვეული კრიტერიუმებით განსაზღვრულ კონკრეტული დონის უნარზე ან ცოდნაზე მიუთითებდეს. როცა კომენტარები გარკვეულ ნორმებს უკავშირდება, მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მიმართებაა მათსა და სხვა მოსწავლეებს შორის. კვლევებმა აჩვენა, რომ კრიტერიუმებზე მიმართული კომენტარები გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე ნორმებზე მიმართული.
4. ეფექტური კომენტარის გაკეთება მოსწავლეებს თავადაც შეუძლიათ. საგანმანათლებლო კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეებსაც შეუძლიათ საკუთარი პროგრესის მონიტორინგი. მაგალითად, მათ შეუძლიათ აწარმოონ ცხრილი, რომელშიც იწვევენ ინფორმაციას ახალი უნარის ათვისებასთან დაკავშირებული აქტივობების შესრულების სისწორის და/ან სიჩქარის შესახებ. კომენტარების გაკეთება მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვებაში და, ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია თვითშეფასების დროს.

დაბოლოს, მიხდა ვთქვა, რომ თითოეული მასწავლებელი უნდა ცდილობდეს საკუთარი ინტელექტუალური და პროფესიული ცოდნის დონის დახვეწას. მოხარული ვიქნები, თუ ჩემი ნაშრომი კოლეგებისათვის სასარგებლო გამოდგება.

**პასხა ბალდაძე**  
სსიპ სამტრედიის №15 საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი, ისტორიკოსი, აქო პედაგოგთა კავშირის „განათლება და სამყარო“ ტრენერი

**გამოყენებული ლიტერატურა**  
რობერტ ჯ. მარზონი, დებრა ჯ. ფიქრინგი, ჯეინ ი. ფოლოქი, „ეფექტური სწავლება სკოლაში“, 2009 წ.

ჯვალმოქმედაა

ჩვენს დაჯბერლებით...

თბილისის 72-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა – ნიკოლოზ არუთინოვმა და ანი კაზიანმა – პროექტის „ჩვენც დავებრდებით“ ფარგლებში, ქვემოქმედების მიზნით, გადამწყვიტეს, თავშესაფარში მყოფი მოხუცებისთვის დახმარება გაეწიათ. თავი-

ანთი სურვილი გაუმჟღავნეს სკოლის დირექტორს, მანანა კიკაჩიშვილს, რომელმაც მოსწავლეებს გადამწყვიტება მოუწონა. პროექტის ხელმძღვანელობა პედაგოგ ფატი მუსელიანს დაევალა, შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი და პედაგოგთა, მშო-

ბელთა და მოსწავლეთა ერთიანი ძალისხმევით მოხუცებისთვის საჭირო პროდუქტი და პირადი ჰიგიენის ნივთები შეგროვდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტში აქტიურად იყო ჩართული სკოლის თვითმმართველობა. მოსწავლეებმა ერთსულვითანად მიიღეს მონაწილეობა საქველმოქმედო საქმეში. დანიშნულ დღეს – 10 ნოემბერს, დიდი მონდობით შეგროვილი პროდუქტი და

ჰიგიენური საშუალებები მოხუცთა პანსიონატ „სიკეთის ლამპარში“ წავიღეთ, პედაგოგების – თინათინ მელქაძისა და მარი აფციაურის დახმარებით. პანსიონატში სულ მზუნველობას მოკლებული 28 მოხუცი დაგვხვდა, არცერთ მათგანს დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია, ყველას აღენიშნება მეხსიერების დაქვეითება, საჭმელსაც ხელით აჭმევენ. პანსიონატის თანამშრომელთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მოხუცები სანიმუშოდ არიან მოვლილი, ყველგან სისუფთავე და ნესრიგი სუფევს, მზრუნველობა ეტყობა იქაურობას. მოხუცებმა ძალიან გაიხარეს ჩვენი სტუმრობით.

პანსიონატის დირექცია მადლობელი დარჩა და განეული დახმარებისთვის გადმოგვცეს მადლობის ბარათი. ბავშვებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნანახმა და სურვილი გამოთქვას, მომავალშიც განახორციელონ საქველმოქმედო პროექტები.

**ნანა აზრაშვილი**  
თბილისის №72 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე



# ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევა ბავშვებში

მეტყველება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელიც გვაძლევს საშუალებას, დავამყაროთ ეფექტური კომუნიკაცია სხვა ადამიანებთან. ენისა და მეტყველების განვითარება არის დროში განვითარებული პროცესი, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი დაკავშირებულია 5 წლამდე ასაკი. ბავშვი იზარბება თანდაყოლილი უნარით იმისათვის, რომ იმეტყველოს, მაგრამ თუ დაკავშირებულია პირველი ხუთი წლის განმავლობაში აღმოჩნდება ისეთ სიტუაციებში, სადაც მეტყველების განვითარების უკიდურესად არასახარბილო პირობებში, ასეთ შემთხვევაში, ამ უნარს პრაქტიკულად კარგავს. ამის მაგალითია ინდოეთში მომხდარი შემთხვევა, როდესაც იპოვეს ჯუნგლებში დაკარგული ბავშვი. მისთვის მეტყველების სწავ-

ლება შეუძლებელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ უნარის განვითარების სენსიტიური პერიოდი უკვე განვლილი იყო.

შესაბამისად, აქედან მორალური ჩვენთვისაც – პირველი ხუთი წელი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რათა განვითაროთ ბავშვის ენა და მეტყველება. ხუთი წლის შემდეგაც ხდება ენისა და მეტყველების თანდათანობით დასვენა, მაგრამ ძირითადი მოცემულობა პირველი ხუთი წლის მანძილზე ყალიბდება. ამ პერიოდში ძალიან სწრაფად იზრდება ლექსიკური მარაგი. გამომხატვლია, თუ რა სინსრაფით ითვისებს ტიპური განვითარების მქონე ბავშვი ახალ სიტყვებს. სწორად საკმარისია ერთხელ მაინც მოინსინოს სიტყვა, რომ ის უკვე მის ლექსიკურ მარაგში გადასული.

**– როგორია ენისა და მეტყველების განვითარების ასაკობრივი თავისებურებები და რა ასაკში შეიძლება იჩინოს თავი ბავშვის მეტყველების განვითარებაში სირთულეებმა?**

– ენისა და მეტყველების განვითარების დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. დაახლოებით 10 თვიდან 18 თვემდე ბავშვმა ცალკეული სიტყვები უნდა გამოიყენოს. 18 თვიდან 2 წლის ასაკამდე უკვე ორი სიტყვა უნდა გადააბას. შემდეგ კი რთულდება და რთულდება. რეცეპტული ენა, ანუ მიმართული მეტყველების გაგება უფრო ადრე ვითარდება. ბავშვი სანამ თქმას ისწავლის, იქამდე აღიქვამს სიტყვებს. ამის საილუსტრაციოდ მოგიყვანთ სახალისო მაგალითს. სპეციალისტი ეუბნება პატარა ნიკოლოზს: „ნახე, ნიკოლოზ, თევი“. ბავშვი ეუბნება: „თევი“. სპეციალისტი ეკითხება: თევი?, „არა, თე-სი“ – გიმარცვლავს. სმენით აღიქვამს, რომ თევი და არა თე-სი, მაგრამ ვერ გისწორებს. ეს არის, როდესაც რეცეპტული ენის განვითარება უსწრებს ექსპრესიულს. მაგრამ დარღვევების შემთხვევაში, თუ რეცეპტული ენა დეფიციტურია, ექსპრესიული ენაც მიყვება აუცილებლად. როგორც უკვე აღვნიშნე, არის კიდევ არტიკულაციის დარღვევა, როდესაც არც ერთი ენობრივი კომპონენტი არ არის დაზიანებული, მაგრამ ბავშვი ვერ გამოთქვამს არტიკულაციის მისი ასაკის შესაბამისად. ეს არ ნიშნავს, რომ 2 და 3 წლის ბავშვს უნდა მოვთხოვოთ გამართული არტიკულაცია, მაგრამ, დაახლოებით, 6-7 წლის ასაკში უკვე ყველაფერი ჩამოყალიბებული უნდა იყოს.

მშობლებმა და პედაგოგებმა, პირველი ხუთი წლის განმავლობაში, უნდა მიაქციონ ყურადღება, თუ ბავშვის ენისა და მეტყველების განვითარებაში რაღაც ნორმასთან შეუსაბამო ხდება. მაგ. ქართულ კულტურაში მიღებულია – ბიჭია და ალაპარაკდება. ბავშვები დიდი ხნის მანძილზე ვერ ლაპარაკობდნენ და მათი უნარები თანდათანობით გააქტიურდება ხოლმე. არსებობს კვლევები, რომელიც გვეუბნება, რომ ბავშვები, რომლებსაც მეტყველების ესა თუ ის პრობლემა უფიქსირდებათ, სამ კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდნენ. ესენია: გვიან გააქტიურებული; გვიან ამეტყველებული; მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე.

აი, ზუსტად ის გვიან გააქტიურებული ბავშვები არიან ის კატეგორია, რომელიც თითქმის ჩუმადაა, პირველი ორი წლის მანძილზე. ლექსიკური მარაგის ვაფართოების დაბალი ტემპი აქვთ, 2 წლის შემდეგ საგრძნობლად აუმჯობესებენ მას და შესაბამისად დაბადების დღეზე უკვე ნორმალურად განვითარებულ თანატოლებს უტოლდებიან (რესკორლა და სხვ., 2000). ეს ის კატეგორიაა, რომელზედაც ამბობენ ხოლმე, რომ დააცადეთ და ალაპარაკდება. როგორ უნდა მივხვდეთ, ბავშვი ალაპარაკდება თუ ეს პრობლემა და შესაბამისი ჩარევა განავსობრივოა? არის კვლევები, რომლებიც გვიჩვენებს იმ ბავშვებს, ვისთანაც შეგვიძლია მეტნაკლებად მშვიდად ვიყოთ და რომლებსაც თავისთავად განუვითარდება ენა და მეტყველება.

პირველი მაჩვენებელია ის, რომ ბავშვს არ უნდა ჰქონდეს მიმართული მეტყველების გაგების პრობლემა. შეიძლება ბავშვი ვერ ლაპარაკობდეს, მაგრამ, ასაკის შესაბამისად, ყველა ნიშანსით უნდა აღიქვამდეს რისი თქმა უნდა მოლაპარაკეს, ყო-

ველგვარი ჟესტის და მითითების გარეშე. არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც მშობელს ვეკითხებით, აღიქვამს ბავშვი თქვენს ნალაპარაკებს? ის გვაძლევს დადებით პასუხს. მაგრამ აღმოჩნდება, რომ ბავშვი გარემომოყვების ჟესტებით, მიმიკით, კონტექსტით ხვდება, თუ რას ითხოვენ მისგან, ხოლო სიტყვიერ მიმართვას, ყველანაირი მინიშნების გარეშე, ვერ აღიქვამს. ასეთ შემთხვევაში, ბავშვს აქვს მიმართული მეტყველების, იგივე რეცეპტული ენის განვითარების პრობლემა, შესაბამისად, ვერ დაველოდებით, რომ თავისთავად განუვითარდება უნარები და აუცილებელია სპეციალისტის დახმარება.

მეორეა ჟესტები, რომლებიც თან ახლავს ბავშვის მეტყველებას. სიმბოლური, პირობითი ჟესტების გაგება არ უნდა იყოს პრობლემური. თუ ეს ორი ასპექტი რეცეპტული ენისა და ჟესტების გაგება ნუსრიგია, ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი, რომ ბავშვი თავისთავად ალაპარაკდება. თუმცა, მე პირადად, როგორც სპეციალისტი და როგორც მშობელი, ყველას ვურჩევ, რომ, თუნდაც სახლის პირობებში, აუცილებლად იზრუნონ ბავშვის ენისა და მეტყველების განვითარებაზე. შეუქმნან ბავშვს განვითარებისათვის მასტიმულირებელი ენობრივი გარემო.

**– როგორია კვლევის შედეგები ამ მიმართულებით დასავლეთში და ჩვენთან?**

– თანამედროვეობაში ძალზე აქტუალურია ტექნიკის გავლენის კვლევა ბავშვის განვითარებაზე. ამ მიმართულებით, საქართველოში, ვახორციელებთ კვლევას, რომელიც ჯერ დასრულებული არ არის. დასრულებისთანავე გაგაცნობთ შედეგებს. დასავლეთში ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, თუ ბავშვს ოდნავ მაინც უფიქსირდება ენისა და მეტყველების პრობლემები, ტექნიკასთან (იქნება ანიმაციური ფილმების ყურება, კომპიუტერზე თამაში, ტელეფონითა და ტაბლეტით დაკავება და ა.შ.) უმეტესად უფრო დახმარებული დიდი დრო დამლუპველად მოქმედებს ამ ბავშვების განვითარებაზე. მშობლები ცოტა სექსუალურად უყურებენ ამ მოსაზრებას. მე პირადად, ამ თემას ორი პოზიციიდან აღიქვამ, როგორც მშობლის და როგორც სპეციალისტის. ძალიან კომფორტულია, რომ ბავშვი დასვა კომპიუტერთან ან ტელეფონთან, არ აქვს მნიშვნელობა. იფიქრო, რომ უსაფრთხოდ არის და მშობელმა მშვიდად მიხედო შენს საქმეს. თუმცა ამას ძალიან დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ბავშვისათვის, განსაკუთრებით ენისა და მეტყველების განვითარების თვალსაზრისით. ბავშვი ამ დროს ძირითადად გადართულია ვიზუალური გამომხატვლების აღქმაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უყურებს ქართულენოვან მულტფილმს ან ვიდეორგოლს, რადგან არავერბალური უნარები მისი ძლიერი მხარეა, ხოლო ვერბალური უნარები – სუსტი. ხაზგასასმელია ისიც, რომ მეტყველება რეცეპტული პროცესია, ანუ როდესაც კომპიუტერი „გელაპარაკება“ უკუკავშირს არ გთხოვს. ასეთ შემთხვევაში მეტყველების გამოყენების უნარის განვითარება ძალიან ფერხდება. ენისა და მეტყველების სრულყოფილად განვითარებას სჭირდება ცოცხალ ადამიანთან რეალური კომუნიკაცია. შესაბამისად, ამ კატეგორიის ბავშვებ-

ბისათვის ტექნიკასთან გატერებული დრო დაკარგულია მათი ენისა და მეტყველების განვითარებისათვის. ტექნიკის სარგებლისა თუ საფრთხის შესახებ საუბრისას მშობლებს ხშირად აქვთ ხოლმე კონტრარგუმენტი, რომ ბავშვმა ისწავლა თვლა და სიმღერა ინგლისურად. ჩათვალეთ, რომ ერთი ინგლისური სიტყვის სწავლით მან 50-100 სიტყვა დაკარგა ქართულად.

ერთი შეხედვით, ბევრ კვლევას იბოვით, რომელიც გუბუნდება, რომ ტექნიკა ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას. მაგრამ იქ აუცილებლად უნდა ნახოთ რა ასაკის ბავშვზეა საუბარი და ტექნიკის როგორ მოხმარებაზეა ლაპარაკი. როგორც წესი, საუბარია: სკოლამდელი ან დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებზე, მშობლის ან მზრუნველის დახმარებით კონტროლირებულ პროცესზე, კონკრეტული ასაკის ბავშვებისთვის შექმნილ აპლიკაციებზე, ტექნიკის გამოყენებაზე შეზღუდული, კონკრეტული დროით. არა უმეტესად უფრო და უკონტროლოდ მიშვებულ პროცესზე. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მშობლების თქმით, მათი 1-2 წლის ბავშვები გვერდებიდან დაძინებამდე, ჭამის ჩათვლით, სულ უყურებენ ეკრანს. ამ შემთხვევაში, არსებობს ძალიან დიდი ალბათობა იმისა, რომ ტექნიკა მავნე ზეგავლენას მოახდენს ბავშვის განვითარებაზე.

არის კიდევ ერთი პრობლემა – ყოველთვის იქნება მშობელი, რომელიც იტყვის: „აი, ჩემი ნაცნობი ბავშვიც ესეა, მაგრამ იმისი მეტყველება პრობლემური არ არის“. პასუხი არის ის, რომ ტექნიკა (ცარიელ ადგილზე არაფერს არ ვგება, მაგრამ თუ ენა და მეტყველება ოდნავ მაინც სუსტი მხარეა, ამ შემთხვევაში, მინიმალური დეფიციტი შეიძლება ძლიერ დარღვევად ჩამოყალიბდეს. ამიტომ სჯობს, რომ მოვარიდოთ ბავშვებს ტექნიკური ხელსაწყოები. თუ ვერ ვახერხებთ ამას, მაშინ ჯობია ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ ეს პროცესი, მაგალითად, ანიმაციური ფილმების ყურების შემთხვევაში, დავსხდეთ ერთად, გავახმოვანოთ, დაეფიქსირებოთ კითხვები, გამოვიყენოთ სიუჟეტი ბავშვის თხრობითი უნარების განვითარებისთვის. ტექნიკის ზეგავლენა არის მნიშვნელოვანი და მტკივნეული თემა როგორც საქართველოში, ასევე მსოფლოს ბევრ ქვეყანაში.

**– რა შეიძლება იყოს ბავშვის მეტყველების განვითარების დარღვევის მიზეზი?**

– ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევები ესაა პეტროგენური ჯგუფი, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ტიპის დარღვევებისგან შედგება. ეს არის რეცეპტული ენის განვითარების დარღვევა (ამ დროს ბავშვს უჭირს მიმართული ენის აღქმა), ექსპრესიული ენის დარღვევა (როდესაც ბავშვი კარგად აღიქვამს ნალაპარაკებს, მაგრამ თვითონ ასაკის შესაბამისად ვერ ლაპარაკობს), არტიკულაციის დარღვევა (როდესაც ბავშვს უჭირს ასაკის შესაბამისად სხვადასხვა ბგერების გამოთქმა), გარდა ამისა, გვაქვს კიდევ მეტყველების რითიმულ-მელოდიური სტრუქტურის დარღვევა, მაგალითად, ენაბორძიკობა, უნესრიგო მეტყველება.

ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის მიზეზების დასახელება ასე ცალსახად ვერ ხერხდება. ამ მიმართულებით არსებობს მრავალფეროვანი თეორიები. ბიოლოგიურ თეორიებში საუბარია გენეტიკურ მიდრეკილებაზე. ასევე მეტყველების განვითარება შეიძლება შეაფერხოს შუა ყურის ანთებამ. ამ დროს შეიძლება შეფერხდეს რეცეპტული ენის განვითარება, მაგრამ როგორც კი მოიხსნება ეს პრობლემა, მეტყველების პრობლემაც ალაგდება. ფსიქოლოგიურ თეორიებში, მაგალითად, საუბარია სმენითი აღქმის მოცულობის შევიწროვებაზე, რის გამოც ვერ ხერხდება ერთბაშად მიწოდებული ინფორმაციის აღქმა. შეიძლება სუბკონსიუსური გადამამუშავება არის პრობლემური, რის გამოც თანმიმდევრული ნყობა ვერ აღიქმება და შედეგად ვიღებთ ენის განვითარების დარღვევას. მე პირადად, ამ ყველაფერს დავამატებდი ტექნიკას, რომელიც შეიძლება უმუშალო გამოწვევი მიზეზი არ არის, მაგრამ ხელს უწყობს ენისა და მეტყველების და არა მხოლოდ ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევას. მაგალითად, ბავშვს სიძინელები აქვს მოტორული განვითარების თვალსაზრისით, იმის მაგივრად, რომ იხოსოს, იფორთხოს, ბევრი იმობრასო, ერთ ადგილზე ზის, უყურებს ეკრანს, ვეღარ ვარჯიშდება მოტორიკა და ფერხდება განვითარება. ტექნიკასთან ინტენსიურმა „ურთიერთობამ“ შესაძლოა გამოიწვიოს მხედველობისა და წონის პრობლემებიც.

**– როგორია ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე ბავშვების დიაგნოსტიკის პროცესი?**

– თავად დიაგნოსტიკის პროცესი შედგება სხვადასხვა ასპექტებისაგან. საწყის ეტაპზე, აუცილებელია მშობლის ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომელიც ტარდება ბავშვის გარეშე. ამ დროს ვიღებთ ღირებულ ინფორმაციას ბავშვის შესახებ, მუცლად ყოფნის პერიოდის დაწყებული მიმდინარე მოვლენებით დამთავრებული. შემდგომში ვიზაობთ ბავშვს. ბავშვის ენობრივი უნარების შეფასებაში გვხვება-





მშობელთა კრება

რება როგორც სტანდარტიზებული ტესტების გამოყენება, ასევე ბავშვზე დაკვირვება. ენისა და მეტყველების დარღვევები არ არის რთულად სადიაგნოსტიკო. თუმცა, გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით რეცეპტული ენის განვითარების დარღვევის დიაგნოსტიკისას. პატარა ასაკში რეცეპტული ენის განვითარების დარღვევის მქონე ბავშვი და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვი ძალიან გავს ერთმანეთს. ჩვენს დასკვნებში ხშირად ნახავთ ჩანაწერს, რომ ბავშვს აღენიშნება აუტიზმის სპექტრის აშლილობის ნიშნები და რეცეპტული ენის განვითარების დარღვევა, ანუ ორივე სავარაუდო მდგომარეობა ინერგება ხოლმე. მერე, როდესაც ტექნიკას მოაშორებ და მუშაობას დაიწყებ, ჩანს რომელი მიმართულებით ნავა ბავშვის განვითარება. არის შემთხვევები, როდესაც დიაგნოზის დასმა სწრაფადაა შესაძლებელი. არის შემთხვევები, როდესაც მშობელს პირდაპირ ვუხსნით, რომ სურათი არ არის ნათელი, ამ ეტაპზე, სავარაუდო მდგომარეობას გინერო და დაკვირვების პროცესში დაზუსტდება დიაგნოზი. ეს მთელ მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა. ზოგადად, ექსპრესიული ენის განვითარება, არ არის რთულად სადიაგნოსტიკო. არც არტიკულაციის სპეციფიკური დარღვევის დიაგნოსტიკაა ხოლმე პრობლემა. არტიკულაციის სპეციფიკური დარღვევისთვის დამახასიათებელია ის, რომ ყველაფერი უნდა იყოს ძალიან კარგად განვითარებული და იყოს ეს შეფერხება იზოლირებული და გამოხატული. თუ ენისა და მეტყველების სპეციფიკურ დარღვევებზეა საუბარი, ასეთ შემთხვევაში, სხვა უნარები კარგად არის განვითარებული და იზოლირებულად, ენა და მეტყველება ირღვევა. არავერბალური უნარები კარგია, ენა და მეტყველება დარღვეული, ერთ შემთხვევაში - რეცეპტული, მეორე შემთხვევაში - რეცეპტულ-ექსპრესიული.

როგორია მეტყველების განვითარებაში დარღვევის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის პერსპექტივა?

მშობლების მხრიდან ძალიან ხშირად დასმული კითხვაა ხოლმე, რა შედეგი გვექნება და როდის. რეაბილიტაციის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია. ეს დამოკიდებულია ბავშვზე და დარღვევის ტიპზე. მნიშვნელობა აქვს, მშობელი რამდენად სისტემატურად ატარებს და არ გააცდენს სპეციალისტთან შეხვედრებს. ასევე მშობელი რამდენად შეასრულებს სპეციალისტის რეკომენდაციებს. არის შემთხვევები, როდესაც მშობელი 3 თვეში ხედავს, რომ თვალსაჩინო ცვლილებებია. დიდი ხნის პრაქტიკა მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სპეციალისტის ჩარევის შემთხვევაში დადებითი შედეგი იქნება აუცილებლად, მაგრამ დაზუსტებით, რამდენ ხანში იქნება შედეგი, ეს ძალიან ინდივიდუალურია და ამაზე წინასწარ ლაპარაკი წარმოუდგენელია.

ენისა და მეტყველების დარღვევების რეაბილიტაციაზე, საქართველოში, ვმუშაობთ ენისა და მეტყველების თერაპევტები და ნეიროფსიქოლოგები. ნეიროფსიქოლოგები, ძირითადად, ვმუშაობთ, როდესაც ენა და მეტყველება სხვა კოგნიტურ ფუნქციებთან ერთად არის დარღვეული. ნეიროფსიქოლოგებს ჩვენი მეთოდები გვაქვს, ლოგოპედებსა და ენისა და მეტყველების თერაპევტებს - თავისი. ჩვენ მოდელირების ტიპით ვმუშაობთ, ანუ ვთავაზობთ კონკრეტულ მოდელს როგორ უნდა თქვას. ვასმენინებთ და „ყურში ვუჯენთ“ სწორ მოდელს. ლოგოპედებს აქვთ იმიტაციური მოდელი, ანუ მე ვიტყვი და შენ გაიმეორე. ნეიროფსიქოლოგებს მიაჩნია, რომ, როდესაც რომელიმე უნარი არის დეფიციტური, იქ არ უნდა დააძალო ბავშვს, აქ და ახლავე გაიმეოროს მოსმენილი. უნებლიე დონეზე გადაგვყავს მეტყველების პროცესი. ბავშვი თამაშობს, სხვადასხვა აქტივობებშია ჩართული, სწორ მოდელს ვთავაზობთ და პრობლემურ კომპონენტზე ვკონკრეტდებით ხოლმე, იქნება ეს პრაგმატული, ფონოლოგიური, ფონემატური, მორფოლოგიური თუ სინტაქსის კომპონენტი. ენისა და მეტყველების თერაპევტები განსხვავებული მიდგომით მუშაობენ. „აქ და ამაჟამად“ პრინციპით, მე ვიტყვი და შენ გაიმეორე. კვლევების მიხედვით, ორივე მიდგომა ეფექტურია. უბრალოდ, იგივე კვლევები დასტურდება, რომ ბავშვები, რომლებთანაც მოდელირების მეთოდი იქნა გამოყენებული, უფრო ხალისიანები და ემოციურად უფრო ლაღები არიან. უფრო იოლად ხდება შექმნილი ცოდნის გადატანა და გენერალიზება სხვადასხვა სიტუაციებში. თუმცა, აღიარებული ფაქტია, რომ ორივე მეთოდით მუშაობა ეფექტურია.

რა რჩევებს მისცემდით მშობლებს, რომლებიც მსგავსი სირთულის წინაშე დგანან?

მშობლებს ვურჩევ, დიდი დრო გაატარონ საკუთარ შვილებთან. ბევრი ელაპარაკონ. ოღონდ აქ მაინც ზომიერებაა დასაცავი. თუ ენისა და მეტყველების კარგი განვითარება აქვს ბავშვს და ზედმეტად დავტვირთავთ შთაბეჭდილებებით, ზედმეტ სტიმულირებას ვაუკეთებთ მის მეტყველებას, ენაბორძიკობის პროვოცირება შეიძლება მოვახდინოთ. რაც შეიძლება უნდა მოვარიდოთ ტექნიკურ საშუალებებს და ის დრო, როცა ბავშვი დაკავებულია ტექნიკასთან ჯდომით, გამოვიყენოთ მასთან ურთიერთობისათვის. ჩვენთან კომუნიკაცია ბავშვისათვის მიზანმიმართული აქტივობაა და უნებლიე დონეზე მეტყველების განვითარებას უწყობს ხელს. ბავშვს უნდა მოვარგოთ ჩვენი საუბრის მანერა. მშობელი ბავშვს უნდა ესაუბრობოდეს ასაკის შესაბამისად. პატარა ასაკის ბავშვთან არ უნდა გამოვიყენოთ ძალიან რთული კონსტრუქციის წინადადებები, თუმცა „ენის მოჩლეკა“ კატეგორიულად იკრძალება. საუბრის უღერადობა გადადის ბავშვის მეტყველებაში. ეს დამახინჯებული, „ენის მოჩლეკით“ ნათქვამი გადადის ბავშვის ლექსიკაში და რჩება მის მეტყველებაში ძალიან დიდხანს. მნიშვნელოვანია მეტყველების სტიმულირება სახლის პირობებში. სასურველია, მშობელმა რაც შეიძლება მეტი ელაპარაკოს ბავშვს, გაახმოვანოს გარემოში არსებული საგნები და მოვლენები. მაგალითად, ქუჩაში: „ნახე, წითელმა მანქანამ გაიარა, ეს მანქანა უფრო პატარაა, ეს უფრო დიდია; ან მოდი, გზაზე გადავიდეთ; ამ გოგოს ჭრელი კაბა აცვია“. მნიშვნელოვანია ნავეუკითხოთ წიგნები, ალენკითხეთ და გავახმოვანოთ ნახატები.

შორენა მამუკაძე

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი


geopsychology.ge

გამოსდილაა

მთელი რიცხვების მოდელები

ვაგრძელებთ მთელი რიცხვების მოდელის შექმნას, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს ჩვენ მიერ უკვე შექმნილი მთელი რიცხვების სხვა მოდელისაგან (იხ. „ახალი განათლება“ №26, 21-27 სექტემბერი, 2017 წელი), ამიტომ აქ მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით მათზე.


ამ მოდელში განვიხილოთ თეთრი და შავი სამკუთხედები, აგრეთვე ციფრი 0. გვექნება ასეთი თვალსაჩინოება:



ამ მოდელში შეკრება ასე ხდება: -5 + (-8) ამ გამოსახულებიდან გადავივარო ჩანაწერზე მოდელში:

▲ 5 + ▲ 8 = ▲ 13, ამიტომ -5 + (-8) = -13


ამ მოდელში განვიხილოთ თეთრი და შავი წრეები, აგრეთვე ციფრი 0. გვექნება:



ამ მოდელში გვექნება:

● 12 + ○ 20 = ○ 8, ამიტომ -12 + 20 = 8


შემდეგი მოდელისათვის ვიყენებთ სიმბოლოებს: ↓, ↑ და ციფრს -0.



-14 - 8 ამ გამოსახულებიდან გადავივარო შემდეგზე:


⓪ 14 + ⓪ 8 = ⓪ 22, ამიტომ -14 - 8 = -22

ახალი მოდელი ასეთი იქნება:



◆ 12 + ◇ 20 = ◇ 8, ამიტომ -12 + 20 = 8

შემდეგი მოდელი ასეთი იქნება:



⊖ 13 + ⊕ 8 = ⊖ 21, ამიტომ -13 + (-8) = -21

ჩვენი კვლევებით დადასტურდა ასეთი მრავალფეროვანი ხერხებით მთელი რიცხვების მოდელის ეფექტურობა მოსწავლეების ჩართულობის, მოტივაციის ზრდის კუთხით, ხოლო აკადემიური მოსწრება გაიზარდა 40%-ით. ეს მასალა წარმატებით აითვისეს მე-3 კლასის მოსწავლეებმა, მაშინ როდესაც ეს არის მე-7 კლასის პროგრამა.

საპარაფიზო. მთელი რიცხვების თითოეულ მოდელში ჩანერეთ და გამოთვალეთ:

-14 + 7

გამოსახულების მნიშვნელობა.

აპლიდი ძარჩაშა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდნიძის საჯარო სკოლა

სამოქალაქო გაკვეთილი

შავი ზღვის ფრინველები

გთავაზობთ ჩემი სამოქალაქო გაკვეთილის გეგმას. გასულ სასწავლო წელს გავიარე ტრენინგი „შავი ზღვის სკივრი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო“, ტრენინგი – ელისო ონაშვილი, ასევე, როგორც კითხვის ჯგუფის ქოუჩი, ჩართული ვიყავი საქართველოს დანყებოთი განათლების პროექტში – G-PriEd. მოცემულ გეგმაში გავაერთიანე როგორც ტრენინგზე, ისე პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა, რასაც დავამატე ჩემი პედაგოგიური გამოცდილება. ვფიქრობ, იგი საინტერესო იქნება კოლეგებისათვის.

ელისო ჯანალიძე

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის დანყებოთი კლასის მასწავლებელი


Table with 2 columns: გაკვეთილის ტიპი, ინტეგრირებული. Rows include: შესავალი, გაკვეთილის თემა, საგანი/ინტეგრირებული საგნები/მასწავლებელი, სწავლების საფეხური/კლასი, მოსწავლეთა პროფილი, აქტიულობა, სასწავლო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მოსწავლეთა წინარე ცოდნა, გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები.

Table with 2 columns: გაკვეთილის მსვლელობა/საკლასო მენეჯმენტი, I ფაზა – გამონვევა, II ფაზა, III ფაზა, IV ფაზა, V ფაზა, VI ფაზა, VII ფაზა, VIII ფაზა, IX ფაზა, X ფაზა.

სამოღელო გაკვეთილი

Table with 2 columns: მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები, მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან; მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში და ინდივიდუალურად.

დანართი 1.



დანართი 2. - ფრინველების სურათები.

დანართი 3.

ამოცანა

დიდი კოკონას სხეულის სიგრძე 49სმ-ია, რაც 11სმ-ით მეტია თევზიყლაპიას სხეულის სიგრძეზე. რას უდრის თევზიყლაპიას სხეულის სიგრძე?

ამოცანა

თევზიყლაპიას სხეულის სიგრძე 38სმ-ია, დიდი კოკონასი 11სმ-ით მეტი. იპოვეთ დიდი კოკონას სხეულის სიგრძე?

ამოცანა

დიდი კოკონას გაშლილი ფრთების სიგრძე 88სმ-ია, რაც 18სმ-ით მეტია ქოჩორა ყვინთიას გაშლილი ფრთების სიგრძეზე. რას უდრის ქოჩორა ყვინთიას გაშლილი ფრთების სიგრძე?

ამოცანა

თევზიყლაპიას გაშლილი ფრთების სიგრძე 93სმ-ია, ხოლო დიდი კოკონასი - 5-ით ნაკლები. რას უდრის დიდი კოკონას გაშლილი ფრთების სიგრძე?

ამოცანა


ქოჩორა ყვინთიას გაშლილი ფრთების სიგრძე 70სმ-ია, რაც 23სმ-ით ნაკლებია ჭრელის-კარტა თევზიყლაპიას გაშლილი ფრთების სიგრძეზე. რას უდრის ჭრელის-კარტა თევზიყლაპიას გაშლილი ფრთების სიგრძე?

ამოცანა

დიდი კოკონას სხეულის სიგრძე 49სმ-ია, ქოჩორა ყვინთიასი - 7-ით ნაკლები. რას უდრის ქოჩორა ყვინთიას სხეულის სიგრძე?

Table with 3 columns: ფრინველი, სხეულის სიგრძე, გაშლილი ფრთების სიგრძე. Rows include დიდი კოკონა, ჭრელის-კარტა თევზიყლაპია, ქოჩორა ყვინთია.

დანართი 4.



დანართი 5. შავი ზღვის ფრინველები

პირველი ჯგუფი

შავ ზღვაზე უამრავი ფრინველი ბინადრობს. ის მდიდარია თევზებით, ამიტომ, აქ ყოველთვის მრავალადაა, როგორც გადამფრენი, ისე მკვიდრი „მეთევზე“ ფრინველი. ის სხვა ზღვებისაგან განსხვავებით, ზამთარში არ იყინება. ამიტომ იანვარ-თებერვალში, როცა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ტბები იყინება, იქაური ფრინველები თავშესაფრისათვის შავ ზღვას მოაშურებენ.

შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსთან ამოზიდული კლდოვანი კუნძულები ფრინველთა საბუდარია. ამ ადგილებს ეტანებიან ჩვამები და ყვითელფეხა თოლიები. სანაპიროს გარდა, ზღვის ფრინველების საცხოვრისები ღია ზღვაშიც გვხვდება. ზღვის ფრინველი, ხმელთაშუაზღვის ქარიშხალა, ზღვაზე იკვებება, ისვენებს და სძინავს. ხმელეთზე კი მხოლოდ კვერცხს დებს.

მეორე ჯგუფი

შავი ზღვის ზოგიერთი ფრინველი თევზით იკვებება, ზოგი უხერხემლოებით (ცოცხალი ორგანიზმები, რომლებსაც ხერხემალი არა აქვთ), ზოგიც - წყალმცენარეებით (მცენარე, რომელიც წყალში ცხოვრობს). თევზებს ეტანებიან მხოლოდ ვარხვები, ხმელთაშუაზღვის ქარიშხლები, თოლიები, ჩვამები და თევზიყლაპიები.

ქოჩორა ყვინთია, ზღვის ფსკერზე მცხოვრები უხერხემლოებით იკვებება; სანაპიროს სუფთა წყლების წყალმცენარეებით იკვებებიან გედები და მელოტები.

მესამე ჯგუფი

დიდი კოკონას სხეულის სიგრძე 49სმ-ია, გაშლილი ფრთებისა კი - 88სმ. მას წვრილი კისერი და გრძელი ნისკარტი აქვს. ზაფხულს ტბაზე ატარებს, ზამთარს კი - შავ ზღვაზე. ზამთარში სახე თეთრი აქვს, ზაფხულში კი, მონითალო ბუმბულების გამო - წითური.

ჭრელის-კარტა თევზიყლაპიას სხეულის სიგრძე 38სმ-ია, გაშლილი ფრთებისა კი - 93სმ. ნისკარტი და ქოჩორი შავი აქვს, ნისკარტის წვერი კი ყვითელი. კუდი ჩანგალს მიუგავს. ზამთარში ქოჩორი ცვივა და მელოტდება. ის საკმაოდ ხმაურიანი ჩიტია. მისი მჭახე „ყი-ყი-ნი“ ძალიან შორს ისმის. ის მალა ცაში აიჭრება და იქიდან ქვასავით ვარდება წყალში. რამდენიმე წამში უკვე თევზი დაჭერილი ჰყავს.

ქოჩორა ყვინთიას სხეულის სიგრძე 42სმ-ია, გაშლილი ფრთებისა კი - 70სმ. ის პატარა მყვინთავი იხვია, მრგვალი თავით. მამალ ყვინთიას გრძელი და მჭრერი (ხშირი არ არის) ქოჩორი აქვს, დედალს კი უკან გადავარცხნილი ქოჩორი კიკინას მიუგავს.

დანართი 6. გრაფიკული მათემატიკის სახეობები

Table with 3 columns: შავი ზღვა ფრინველების საცხოვრისი, როგორ იკვებებიან შავი ზღვის ფრინველები?, გარეგნული ნიშნების მიხედვით აღწერე შავი ზღვის ფრინველები.

დანართი 7. ქვიზი

- 1. იმ ფრინველის სახელს მისი ნისკარტის უცნაურობა განსაზღვრავს
ა) ჩვამა ბ) დიდი კოკონა გ) ჭრელის-კარტა თევზიყლაპია
2. მისი გაშლილი ფრთების სიგრძე 70სმ-ია
ა) ქოჩორა ყვინთია ბ) ჭრელის-კარტა თევზიყლაპია გ) დიდი კოკონა
3. მას წვრილი ნისკარტი და გრძელი კისერი აქვს
ა) ჭრელის-კარტა თევზიყლაპია ბ) დიდი კოკონა გ) ქოჩორა ყვინთია
4. ამ ფრინველის კუდი ჩანგალს ნაგავს
ა) ჭრელის-კარტა თევზიყლაპია ბ) დიდი კოკონა გ) ქოჩორა ყვინთია
5. დიდი კოკონას სხეულის სიგრძე 49სმ-ია, ხოლო თევზიყლაპიასი - 38სმ. რამდენით ნაკლებია თევზიყლაპიას სხეულის სიგრძე, დიდი კოკონას სხეულის სიგრძეზე?
ა) 10სმ-ით ბ) 12სმ-ით გ) 11სმ-ით
6. უხერხემლოები ეწოდება ცოცხალ ორგანიზმებს, რომლებსაც:
ა) ხერხემალი არა აქვთ ბ) ხერხემალი აქვთ გ) დიდი ფეხები აქვთ

დანართი 8. ტექსტის სათაური: მე აღმოვაჩინე, რომ

დანართი 9. საშინაო დავალება

Table with 4 columns: თოლია, საცხოვრისი, კვება, გარეგნობა.

დანართი 10. შეფასების რუბრიკა

Table with 5 columns: კრიტერიუმები, გასაუმჯობესებელი, დამაკმაყოფილებელი, კარგი, ძალიან კარგი.

- დანართი 11. შეფასების შაბლონები
მეცადაე უფრო ყურადღებით წაიკითხო ამოცანის პირობა და საკითხავი ტექსტი. მაშინ, დარწმუნებული ვარ, დავალებებსაც სწორად შეასრულებ. მოინდომე, ვიცი, რომ შენ ამას შეძლებ!
მეცადაე შენ დღეს ძალიან კარგად გაართვი თავი საკლასო დავალებებს, იყავი აქტიური მთელი გაკვეთილის მანძილზე, კარგად წარმოაჩინე შენი თავი. გილოცავ!
მეცადაე შენ დღეს ცდილობდი კარგად გაგერთო თავი საკლასო დავალებებისთვის, ცდილობდი ყოფილიყავი აქტიური მთელი გაკვეთილის მანძილზე, შეცადაე წარმოგეჩინა შენი თავი. შეცადაე, მეტი მოინდომე და უფრო მეტს მიაღწეე!
მეცადაე შენ დღეს ძალიან კარგად გაართვი თავი საკლასო დავალებებს, იყავი აქტიური მთელი გაკვეთილის მანძილზე, მსჯელობდი ორიგინალურად, ასაბუთებდი მსჯელობას. ძალიან კარგად წარმოაჩინე შენი თავი. გილოცავ!

# სამაგიდე თამაშების მრავალფეროვანი კატეგორიები I-VI კლასებისათვის

წესებიანი, სამაგიდე თამაშების მრავალი ახალი გამოცდა: შუქმანს ბავშვს უფრო მეტი განხილვა სწავლისას, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალური და საზოგადოებრივი უნარების განვითარებას. ამ თამაშების დროს თამაში ჩართულ მოსწავლეებს უნდა: ანალიზი, მსჯელობა, კატეგორიზაცია/დახარისხება, დაგეგმვა/ორგანიზება, გადაწყვეტა, შედარება, შეფასება/კრიტიკა, რეფლექსია, შექმნა, გამოგონება, აღმოჩენა, თანამშრომლობა, წარმოდგენა/ვარაუდობა, წინასწარი შეფასება/წინასწარმეტყველება, წარდგენა/პრეზენტაცია, გამოყენება, გაკეთება, პრაქტიკული გადმოტანა, განხილვა/დასკვნა. თამაში ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების და გამოყენებული მეთოდების შესაბამისად არის შექმნილი.



- რომელი საათია - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მხიარული ფრაგმენტების ლოგიკა - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- ჩრდილები - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მოსატყუარი სხოველების ანგარიში - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- სხვადასხვა სიტყვების - 8 ლარი** (ჯგუფური თამაში);
- შეგრძნობები - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მხიარული სინარქცია - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მხიარული წილადები - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- დავეხმაროთ რისხვებს - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- ვითვლი: 10-მდე, 20-მდე, 100-მდე - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- გავხსნათ მთელი სტუმრები - 23 ლარი** (ჯგუფური თამაში, გათვლილია მთელ კლასზე);
- ფარული მოხიარვა - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში).

## ნაფიცი და მომონი ანგარიშები

სარია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „პითაგორის საათის“ საცემოების გათვალისწინებით.



სარის ფასი - 32.40 ლ

## ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.



სარის ფასი 17.70 ლ

## მოკლემეტყველოთ საბავშვო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასახვევი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიცვანთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამოცემების ოფიციალურ ვებგვერდზე [fb.com/bakursulakauripublishing](http://fb.com/bakursulakauripublishing) ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიქმნება ჩაბარების როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.




თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

ტირანი დროებით ამოწურულია



**12 ლარი**

თამაზ ვასაძე კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



**10 ლარი**

ფიზიკა საატესტატო გამოცდისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაძე



**10 ლარი**

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე




**10 ლარი**

თამარ ბეროზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)




**4 ლარი**

თამაზ ვასაძე ქართული აგროგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



**10 ლარი**

ბიოლოგია (II ნაწილი) ეროვნული გამოცდებისთვის ლ. ბურღილაძე, ნ. სინარქცია, ქ. მალაქაძე, დ. ნაზირიშვილი



**9 ლარი**

ისტორია საატესტატო გამოცდისთვის ნ. ანაბაძე, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

განახლებული გამოცემა



**ნიგონი I**  
V-XVIII საუკუნეების მხარობა



**ნიგონი II**  
XIX საუკუნის მხარობა



**ნიგონი III**  
XX საუკუნის მხარობა

თითო ტომის ფასი - 13 ლარი

**ხელმოწერის თანხა გადმოირისხეთ რეკვიზიტებზე:**  
 მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,  
 ა/ა GE93LB0113314052305000,  
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22  
 შექმნის მსურველები დაბვიკავშირდით:  
 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14  
 ტელ.: 032 295 80 23, 599 880073  
[www.axaligantleba.ge](http://www.axaligantleba.ge)    [axaligantleba@gmail.com](mailto:axaligantleba@gmail.com)  
**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735  
 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,  
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >